# შპს საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია

ცალკეული ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

# შპს საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია

**სარჩევი**

გვერდი


ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მდგომარეობით ცალკეული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 1

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 2-4

ცალკეული ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ცალკეული ფინანსური მდგომარეობის ანგარიში 5
ცალკეული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიში 6
ცალკეული კაპიტალის ცვლილებების ანგარიში 7
ცალკეული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში 8

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებაზე:

1. შესავალი 9
2. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკები 9
3. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და შეფასების არასარწმუნოების ძირითადი წყაროები 20
4. ახალი და შესწორებული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა (ფასს) ინტერპრეტაციების გამოყენება 21
5. ძირითადი საშუალებები 28
6. საინვესტიციო ქონება 29
7. ინვესტიციები ასოცირებულ პირებში 29
8. ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში 30
9. გაცემული სესხები 30
10. მოგების გადასახადი 32
11. მარაგები 32
12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 33
13. ფული და ფულის ექვივალენტები 35
14. საწესდებო კაპიტალი 36
15. აღებული სესხები 36
16. სავაჭრო და სხვა გადასახდელები 37
17. შემოსავალი 38
18. გაყიდვების თვითღირებულება 39
19. გაყიდვისა და დისტრიბუციის ხარჯები 39
20. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 40
21. სხვა საოპერაციო ხარჯები, წმინდა 40
22. ფინანსური ხარჯები 40
23. ფინანსური რისკის მართვა 41
24. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება 45
25. პირობითი და შესაძლო ვალდებულებები 46
26. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან 47
27. მოვლენები საანგარიშგებო თარიღის შემდგომ 50

## შპს საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია

**ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ცალკეული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე**
**2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ცალკეული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის" ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, კაპიტალის ცვლილებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ცალკეულ ანგარიშგებას 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ცალკეული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ცალკეულ ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე; და
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიის ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ცალკეული ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენასა და ცალკეული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას.
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე ადგილობრივი კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

კომპანიის ცალკეული ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის დამტკიცებულია მენეჯმენტის მიერ 2018 წლის 8 ივნისს.

**მენეჯმენტის სახელით:**

| | |
|---|---|
| ____________________________________ | ____________________________________ |
| მალხაზ იასეშვილი | ლაშა გვაზავა |
| საოპერაციო დირექტორი | მთავარი ბუღალტერი |
| 2018 წლის 8 ივნისი | 2018 წლის 8 ივნისი |
| თბილისი, საქართველო | თბილისი, საქართველო |

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის მფლობელებს:

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის" („კომპანია")ცალკეული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე სხვა სრული შემოსავლების, კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის და ცალკეული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებს ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპების ჩათვლით.

ჩვენი აზრით, ცალკეული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებულია შენიშვნაში №2 ახსნილი მომზადების საფუძვლის შესაბამისად, რომელიც განმარტავს, თუ როგორ იქნა ფასს გამოყენებული, ფასს 1-ის „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველადი გამოყენება" შესაბამისად, მათ შორის, ხსნის მენეჯმენტის მიერ მოქმედი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების შესახებ გაკეთებულ დაშვებებს, აგრეთვე, მოსალოდნელ პოლიტიკებს 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფასს ცალკეული ფინანსური ანგარიშგების პირველი სრული კომპლექტის მომზადების პროცესში.

დასკვნის საფუძველი

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ჩვენი ანგარიშის ქვეთავში „აუდიტორის პასუხისმგებლობა ცალკეული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე". ჩვენ ვმოქმედებდით კომპანიისგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი" (პბეკ კოდექსი) და საქართველოში აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური მოთხოვნები. შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა როგორც პბეკ კოდექსის, აგრეთვე აღნიშნული მოთხოვნებით განსაზღვრულ სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

ხელმძღვანელობისა და ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირთა მოვალეობები

ხელმძღვანელობა მოვალეა, მოამზადოს და ობიექტურად წარმოადგინოს ცალკეული ფინანსური ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელიც, მისი აზრით, აუცილებელია ისეთი ცალკეული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ცალკეული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა მოვალეა, შეაფასოს კომპანიის მხრიდან საქმიანობის გაგრძელების (უწყვეტი საწარმოს პრინციპის) უნარი, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს უწყვეტი საწარმოს პრინციპთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნული პრინციპი გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელმძღვანელობა ან მიზნად ისახავს კომპანიის ლიკვიდაციას თუ საქმიანობის შეწყვეტას, ან არ გააჩნია ამისგან განსხვავებული ქმედების რეალისტური ალტერნატივა.

ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირები მოვალენი არიან, უზედამხედველონ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესს.

**აუდიტორის მოვალეობები ცალკეული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში**

ჩვენი ამოცანაა, მოვიპოვოთ იმის საფუძვლიანი რწმენა, რომ ცალკეული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც ჩვენი თვალსაზრისის გამომხატველი იქნება. საფუძვლიანი რწმენა წარმოადგენს მაღალი ხარისხის რწმენას, მაგრამ, ამავდროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურ ზეგავლენას ახდენდეს ამ ცალკეული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში გამოვთქვამთ პროფესიულ მოსაზრებას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა:

- ჩვენ ამოვიცნობთ და ვაფასებთ ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის ჩამოსაყალიბებლად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის ვერშემჩნევის რისკი შეცდომის შედეგად გაპარული არსებითი უზუსტობის ვერშემჩნევის რისკს აღემატება, რადგან თაღლითობა შეიძლება ხდებოდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის წინასწარგანზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით;
- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე აზრის გამოთქმის განზრახვას;
- ვაფასებთ ბუღალტრული აღრიცხვის გამოყენებული პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული პროგნოზებისა და განმარტებების მართებულობას;
- ვაკეთებთ დასკვნას ხელმძღვანელობის მიერ უწყვეტი საწარმოს პრინციპის საფუძველზე აღრიცხვის წარმოებასთან დაკავშირებით და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, გამოვთქვამთ მოსაზრებას, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის არასარწმუნოობა ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რომელმაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი, გააგრძელოს საქმიანობა. თუ ჩვენი დასკვნის მიხედვით, არსებითი არასარწმუნოობა არსებობს, ჩვენ ვალდებულები ვართ, ჩვენ მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, მოვახდინოთ დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება კომპანია აიძულოს, შეწყვიტოს მოქმედი საწარმოს პრინციპით მოქმედება.
- ვაფასებთ ცალკეული ფინანსური ანგარიშგების მთლიან სტრუქტურას, შინაარსსა და წარმოდგენის ფორმას, მათ შორის განმარტებებს და ასევე იმას, თუ როგორ შეესაბამება

ცალკეული ფინანსური ანგარიშგების მიერ შესაბამისი ტრანზაქციებისა და მოვლენების ასახვა ინფორმაციის ობიექტურად წარმოდგენის პრინციპს.

- მოვიპოვებთ საკმარის და სათანადო აუდიტორულ მტკიცებულებებს კომპანიაში შემავალი პირების ან ბიზნეს საქმიანობის ფინანსური ინფორმაციის თაობაზე, რათა მის საფუძველზე წარმოვადგინოთ ჩვენი დასკვნა ცალკეული ფინანსური ანგარიშგების თაობაზე. ჩვენ ვაგებთ პასუხს კომპანიის აუდიტის პროცესის წარმართვაზე, ზედამხედველობასა და მიმდინარეობაზე. აუდიტორულ დასკვნაზე პასუხისმგებლები ვართ მხოლოდ ჩვენ.

სხვა საკითხებთან ერთად, ჩვენ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

შპს „დელოიტი და ტუშის“ სახელით
ჯონ რობინსონი

2018 წლის 8 ივნისი,
თბილისი, საქართველო

## ცალკეული ფინანსური მდგომარეობის ანგარიში
## 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

| *ათასობით ლარში* | შენიშვნა | 2017 წლის 31 დეკემბერი | 2016 წლის 31 დეკემბერი | 2016 წლის 1 იანვარი |
|---|---|---|---|---|
| **აქტივები** | | | | |
| **გრძელვადიანი აქტივები** | | | | |
| ძირითადი საშუალებები | 5 | 79,410 | 77,376 | 78,990 |
| საინვესტიციო ქონება | 6 | - | 11,434 | 9,987 |
| გუდვილი | | 516 | 516 | 516 |
| ინვესტიციები ასოცირებულ პირებში | 7 | 1,000 | 1,000 | 1,000 |
| ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში | 8 | 55,826 | 40,220 | 36,739 |
| გაცემული სესხები | 9 | 13 | 24 | 5,072 |
| არამატერიალური აქტივები | | 330 | 232 | 189 |
| სხვა გრძელვადიანი აქტივები | | 1,350 | 1,404 | 1,441 |
| **სულ გრძელვადიანი აქტივები** | | **138,445** | **132,206** | **133,934** |
| **მიმდინარე აქტივები** | | | | |
| მარაგები | 11 | 5,439 | 5,175 | 6,373 |
| გაცემული სესხები | 9 | 28,887 | 15,995 | 4,172 |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | 12 | 30,293 | 38,325 | 21,419 |
| წინსწრებით გადახდილი გადასახადები | | - | - | 1,921 |
| ფული და ფულის ექვივალენტები | 13 | 1,633 | 5,740 | 1,713 |
| **სულ მიმდინარე აქტივები** | | **66,252** | **65,235** | **35,598** |
| **სულ აქტივები** | | **204,697** | **197,441** | **169,532** |
| **კაპიტალი** | | | | |
| საწესდებო კაპიტალი | 14 | 7,720 | 2,595 | 2,595 |
| გაუნაწილებელი მოგება | | 80,914 | 71,230 | 54,879 |
| **სულ კაპიტალი** | | **88,634** | **73,825** | **57,474** |
| **ვალდებულებები** | | | | |
| **გრძელვადიანი ვალდებულებები** | | | | |
| აღებული სესხები | 15 | 57,699 | 66,855 | 63,061 |
| **სულ გრძელვადიანი ვალდებულებები** | | **57,699** | **66,855** | **63,061** |
| **მიმდინარე ვალდებულებები** | | | | |
| სავაჭრო და სხვა გადასახდელები | 16 | 20,933 | 24,423 | 12,845 |
| გადასახდელი გადასახადები | | 113 | 322 | 10,237 |
| აღებული სესხები | 15 | 37,318 | 32,016 | 25,915 |
| **სულ მიმდინარე ვალდებულებები** | | **58,364** | **56,761** | **48,997** |
| **სულ ვალდებულებები** | | **116,063** | **123,616** | **112,058** |
| **სულ ვალდებულებები და კაპიტალი** | | **204,697** | **197,441** | **169,532** |

**დამტკიცდა და მენეჯმენტის სახელით 2018 წლის 8 ივნისს ხელი მოაწერეს:**

____________________________________
მალხაზ იასეშვილი
საოპერაციო დირექტორი

2018 წლის 8 ივნისი
თბილისი, საქართველო

____________________________________
ლაშა გვაზავა
მთავარი ბუღალტერი

2018 წლის 8 ივნისი
თბილისი, საქართველო

## ცალკეული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიში
## 2017 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლისთვის

| *ათასობით ლარში* | შენიშვნები | 2017 | 2016 |
|---|---|---|---|
| შემოსავალი | 17 | 118,027 | 115,978 |
| გაყიდვების თვითღირებულება | 18 | (88,986) | (78,373) |
| **საერთო მოგება** | | **29,041** | **37,605** |
| გაყიდვისა და დისტრიბუციის ხარჯები | 19 | (2,027) | (5,128) |
| ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები | 20 | (8,101) | (8,059) |
| სხვა საოპერაციო ხარჯები, წმინდა | 21 | (1,361) | (1,942) |
| **საოპერაციო მოგება** | | **17,552** | **22,476** |
| საინვესტიციო ქონების გადაფასებისგან მიღებული მოგება | 6 | - | 810 |
| ფინანსური შემოსავალი | | 4,840 | 2,702 |
| ფინანსური ხარჯები | 22 | (8,108) | (14,618) |
| **მოგება დაბეგვრამდე** | | **14,284** | **11,370** |
| მოგების გადასახადის სარგებელი | 10 | - | 9,681 |
| **მთელი წლის მოგება** | | **14,284** | **21,051** |
| სხვა სრული შემოსავალი | | - | - |
| **მთლიანი სრული მოგება** | | **14,284** | **21,051** |

**დამტკიცდა და მენეჯმენტის სახელით 2018 წლის 8 ივნისს ხელი მოაწერეს:**

____________________________________
მალხაზ იასეშვილი
საოპერაციო დირექტორი

2018 წლის 8 ივნისი
თბილისი, საქართველო

____________________________________
ლაშა გვაზავა
მთავარი ბუღალტერი

2018 წლის 8 ივნისი
თბილისი, საქართველო

## ცალკეული კაპიტალის ცვლილებების ანგარიში
## 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

| *ათასობით ლარში* | საწესდებო კაპიტალი | გაუნაწილებელი მოგება | სულ |
|---|---|---|---|
| **2016 წლის 1 იანვარს** | **2,595** | **54,879** | **57,474** |
| სრული მოგება | - | 21,051 | **21,051** |
| გამოცხადებული დივიდენდები | - | (4,700) | **(4,700)** |
| **2016 წლის 31 დეკემბერს** | **2,595** | **71,230** | **73,825** |
| სრული მოგება | **-** | 14,284 | **14,284** |
| გამოცხადებული დივიდენდები | **-** | (4,600) | **(4,600)** |
| საწესდებო კაპიტალის გაზრდა | 5,125 | - | **5,125** |
| **2017 წლის 31 დეკემბერს** | **7,720** | **80,914** | **88,634** |

დამტკიცდა და მენეჯმენტის სახელით 2018 წლის 8 ივნისს ხელი მოაწერეს:

___________________________________
მალხაზ იასეშვილი
საოპერაციო დირექტორი

2018 წლის 8 ივნისი
თბილისი, საქართველო

___________________________________
ლაშა გვაზავა
მთავარი ბუღალტერი

2018 წლის 8 ივნისი
თბილისი, საქართველო

## ცალკეული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში
## 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

| *ათასობით ლარში* | შენიშვნები | 2017 | 2016 |
|---|---|---|---|
| **ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან** | | | |
| მომხმარებლებისგან მიღებული ნაღდი ფული | | 132,691 | 89,106 |
| მომწოდებლებისთვის გადახდილი ნაღდი ფული | | (100,231) | (54,945) |
| თანამშრომლებისთვის გადახდილი ნაღდი ფული | | (5,930) | (5,996) |
| **საოპერაციო საქმიანობიდან გამომუშავებული ფულადი ნაკადები** | | **26,530** | **28,165** |
| გადახდილი საპროცენტო ხარჯი | | (8,116) | (7,642) |
| გადახდილი გადასახადები, წმინდა | | (4,005) | (4,653) |
| **საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფული, წმინდა** | | **14,409** | **15,870** |
| **ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან** | | | |
| საწესდებო კაპიტალის ზრდა/(კლება) | | 1,586 | - |
| ზრდა/(კლება) შვილობილი კომპანიის საწესდებო კაპიტალში | | (5,175) | (3,491) |
| მიღებული დივიდენდები | | 464 | 634 |
| სესხების გაცემა | | (21,813) | (16,387) |
| გაცემული სესხების დაფარვა | | 11,028 | 11,019 |
| მიღებული საპროცენტო შემოსავალი | | 1,544 | 983 |
| არამატერიალური აქტივების შეძენა | | (271) | (38) |
| საინვესტიციო ქონების შეძენა | | - | (475) |
| საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი | | 3,312 | 212 |
| ძირითადი საშუალებების შეძენა | | (878) | (1,561) |
| ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი | | 29 | 35 |
| **საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფული, წმინდა** | | **(10,174)** | **(9,069)** |
| **ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან** | | | |
| სესხების აღება | | 25,800 | 36,277 |
| სესხების დაფარვა | | (29,139) | (34,900) |
| გადახდილი დივიდენდები | | (5,007) | (4,210) |
| **ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული ფული, წმინდა** | | **(8,346)** | **(2,833)** |
| გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე | | 4 | 58 |
| **წმინდა (კლება)/ზრდა ფულსა და ფულის ეკვივალენტებში** | | **(4,107)** | **4,026** |
| ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში | | 5,740 | 1,714 |
| **ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს** | | **1,633** | **5,740** |

**დამტკიცდა და მენეჯმენტის სახელით 2018 წლის 8 ივნისს ხელი მოაწერეს:**

| | |
|---|---|
| ___________________________________ | ___________________________________ |
| მალხაზ იასეშვილი | ლაშა გვაზავა |
| საოპერაციო დირექტორი | მთავარი ბუღალტერი |
| 2018 წლის 8 ივნისი | 2018 წლის 8 ივნისი |
| თბილისი, საქართველო | თბილისი, საქართველო |

## 1. შესავალი

შპს "საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია" ("კომპანია" ან "სსეკ") დაარსდა 2005 წლის 11 ივლისს და მდებარეობს საქართველოში. კომპანია შექმნილია როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოს კანონის შესაბამისად.

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის უშუალო მშობელი კომპანიაა შპს. "ჰოლდინგი საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი" და კომპანიას საბოლოოდ აკონტროლებს ბატონი დავით ბეჟუაშვილი.

**ძირითადი საქმიანობა.** კომპანია არის საქართველოში რეგისტრირებული კომპანიების ჯგუფის დამფუძნებელი, რომელთა ძირითადი საქმიანობა მოიცავს ელექტროენერგიის გენერირებას, გაზგასამართი სადგურების ოპერირებას, გაზზე მომუშავე ავტომანქანების ტესტირებასა და საინვესტიციო ქონების დეველოპმენტსა და რეალიზაციას.

ელექტროენერგია გამომუშავდება თბოელექტროსადგურის ("თბილსრესის") და საქართველოს მასშტაბით მდებარე 7 ჰიდროელექტროსადგურის მიერ, რომლებიც კონტროლდება კომპანიის მიერ. ელექტროენერგია იყიდება სხვადასხვა  კერძო კომპანიასა და სახელმწიფოს მფლობელობაში მყოფ ელექტროენერგიის ბაზრის კომერციულ ოპერატორზე („ესკო“). თბოელექტროსადგურის დადგმული სიმძლავრე 272 მეგავატია და მისი გასაყიდი ტარიფი დგინდება ნორმატიული აქტით. კომპანიის მფლობელობაში არსებული თითოეული ჰიდროელექტროსადგურის დადგმული სიმძლავრე 13 მგვტ-ზე ნაკლებია და მათი ტარიფები დერეგულირებულია.

კომპანია ჩართულია ბარტერულ ტრანზაქციებში სომხეთში მოქმედი თბოელექტროსადგურის ოპერატორთან, რომლის მიხედვითაც სსეკ აწოდებს ელექტროენერგიას ბუნებრივი აირის სანაცვლოდ. კომპანია ბუნებრივ აირს ასევე ყიდულობს კავკასიის რეგიონში მოქმედი გაზის მომწოდებლებისგან, რომელთაც შეუძლიათ დიდი მოცულობის აირის მიწოდება. გაზის ძირითადი მომხმარებლები მსხვილი ქართული საწარმოები და გაზგასამართი სადგურების ქსელებია.

**რეგისტრირებული მისამართი და ბიზნესის წარმოების ადგილი.** კომპანიის რეგისტრირებული მისამართია სტალინის ქუჩა #66, თეთრიწყაროს რაიონი 2309, საქართველო. კომპანიის ძირითადი საქმიანობის ადგილია დავით აღმაშენებლის #2, გარდაბანი, 1300, საქართველო.
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიაში დასაქმებული იყო 543 თანამშრომელი (2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით -  575 თანამშრომელი, 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით: 595).

## 2. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკები

**შესაბამისობის განცხადება.** წინამდებარე ცალკეული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად. წინამდებარე ცალკეული ფინანსური ანგარიშგება არის კომპანიის პირველი წლიური ფინანსური ინფორმაცია, რომელიც სრულად შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს („ფასს“). კომპანიის ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2016 წლის 1 იანვარი. გარკვეული გამონაკლისების გარდა, ფასს 1 კომპანიებისგან მოითხოვს სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოქმედი რედაქციის რეტროსპექტიულ გამოყენებას. ეს რედაქცია გამოყენებულია ფინანსური მდგომარეობის საწყისი ფასს ანგარიშგების მოსამზადებლად 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და შემდგომი პერიოდებისათვის ფასს საანგარიშო პერიოდის ბოლომდე.

ვინაიდან კომპანია არ იყო ვალდებული, ფინანსური ინფორმაცია მოემზადებინა ბუღალტრული აღრიცხვის საყოველთაოდ არსებული პრინციპების („ბასაპ“) გათვალისწინებით, წინამდებარე ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის მოცემული შედარება წინა ბასაპ-ებისა და ფასს-ებს შორის.

**მომზადების საფუძველი.** წინამდებარე ცალკეული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპეტაციების საერთაშორისო კომიტეტის მიერ გამოცემული ინტერპრეტაციების („ფაისკ“) შესაბამისად.

კომპანიამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა იმავე საფუძველზე, რომელზეც მომზადდა წინამდებარე ანგარიშგება. აღნიშნული დოკუმენტის ასლი ხელმისაწვდომია კომპანიის ოფისში, მისამართზე - საქართველო, თბილისი, გაზაფხულის ქუჩა #18, 0177.

გარდა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოცემისა, კომპანიამ, ბასს 27 „კონსოლიდირებული და ცალკეული ფინანსური ანგარიშგებები“ და ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად, გადაწყვიტა, წარმოადგინოს დამოუკიდებელი ფინანსური ანგარიშგება. წინამდებარე ცალკეული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია კომპანიის დამოუკიდებელი ფინანსური მდგომარეობის და ფინანსური შედეგების შეფასების მიზნით და, ამდენად, არ მოიცავს კომპანიის შვილობილი კომპანიებისა და ასოცირებული პირების კონსოლიდაციას.

ქვემოთ წარმოდგენილია ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის წინამდებარე ცალკეული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი მიმართულებები, რომლებიც თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს საგანგებოდაა აღნიშნული.

ცალკეული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა იმ საინვესტიციო ქონებისა, რომელიც საანგარიშო პერიოდის ბოლოს აისახება სამართლიანი ღირებულებით, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში.

აქტივების ისტორიული ღირებულება ეფუძნება ამ აქტივების სანაცვლოდ გადახდილი ფასეული აქტივების სამართლიან ღირებულებას.

სამართლიანი ღირებულება არის ის ფასი, რასაც მიიღებდა აქტივის მფლობელი აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების მფლობელი ვალდებულების დასაფარად, ჩვეულებრივი ტრანზაქციისას საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების თარიღის დროს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს ფასი პირდაპირ დაკვირვებადი ან შეფასებული სხვა შეფასების მეთოდით. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას, კომპანია მხედველობაში იღებს აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეებიც მიიღებდნენ ამ მახასიათებლებს მხედველობაში აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას შეფასების თარიღისთვის. ამ ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაში შეფასების და/ან გამჟღავნების მიზნებისთვის სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება სწორედ ამ საფუძველზე.

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, სამართლიანი ღირებულების საზომი იყოფა 1-ლი, მე-2 და მე-3 დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ სამართლიანი ღირებულების რომელი კომპონენტებია დაკვირვებადი და რა მნიშვნელობის მატარებელია ეს კომპონენტები მთლიანად სამართლიანი ღირებულების მოცულობის დადგენაში. აღნიშნული

კატეგორიებია:

- 1-ელი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;
- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება 1-ელ დონეში მოცემული კოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და
- მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები ჩამოთვლილია ქვემოთ.

***სამუშაო და საანგარიშგებო ვალუტა.*** საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი ("ლარი"), რომელიც წარმოადგენს კომპანიის ფუნქციურ ვალუტას და რომელშიც წარმოდგენილია კომპანიის ცალკეული ფინანსური ანგარიშგება. ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ყველა თანხა ათასობით ლარამდეა დამრგვალებული.

**ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში.** შვილობილი კომპანია არის პირი, რომელზეც კომპანიას გააჩნია კონტროლი. კონტროლი არსებობს მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს უფლება, მიიღოს ცვლადი ხასიათის უკუგება ინვესტირების ობიექტთან ურთიერთობის შედეგად და აქვს უნარი, ზეგავლენა მოახდინოს ამ უკუგებაზე ინვესტირების ობიექტზე არსებული ძალაუფლების შედეგად.

ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაში ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში აისახება თვითღირებულებით. შვილობილი კომპანიებიდან ან ასოცირებული პირისგან მიღებული დივიდენდები კომპანიის ფინანსური ინფორმაციის მოგება-ზარალის ანგარიშში აღიარდება მაშინ, როდესაც განისაზღვრება დივიდენდის მიღების უფლება.

იმის განსასაზღვრად, არის თუ არა აუცილებელი გაუფასურების ზარალის აღიარება შვილობილ კომპანიაში ინვესტიციასთან დაკავშირებით, გამოიყენება ბასს 39-ის მოთხოვნები. როდესაც ეს აუცილებელია, ინვესტიციის მთლიანი საბალანსო ღირებულება (გუდვილის ჩათვლით), როგორც ერთი მთლიანი აქტივი, გაუფასურებაზე მოწმდება ბასს 36 „აქტივების გაუფასურება" მიხედვით - მისი აღდგენადი ღირებულების (გამოყენებულ ღირებულებასა და სამართლიანი ღირებულებისა და გაყიდვის ხარჯების სხვაობას შორის უდიდესი ღირებულება) შედარებით მის საბალანსო ღირებულებასთან. აღიარებული გაუფასურების ზარალი წარმოადგენს ინვესტიციის საბალანსო ღირებულების ნაწილს. ამ გაუფასურების ზარალის აღდგენა ასევე აღიარდება ბასს 36-ის თანახმად - ინვესტიციის აღდგენადი ოდენობის შემდგომი გაზრდით.

***ინვესტიციები ასოცირებულ პირებში.*** ასოცირებული პირები არიან კომპანიები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა (პირდაპირ ან არაპირდაპირ), მაგრამ არა კონტროლი, რომელიც ჩვეულებრივ თან ახლავს ხმის უფლებების 20-50 პროცენტის ფლობას.

კომპანიის ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაში ინვესტიციები ასოცირებულ პირებში აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი გაუფასურების გამოკლებით. ამ გაუფასურების ზარალის აღდგენა აღიარდება ბასს 36-ის თანახმად - ინვესტიციის აღდგენადი ოდენობის შემდგომი გაზრდით.

**უცხოური ვალუტა.** კომპანიის ცალკეული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში

დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. სამართლიანი ღირებულებით აღიარებული არაფულადი სახსრები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით იმ თარიღში, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება იქნა დადგენილი. გაცვლითი კურსით კონვერტაცია არ ეხება იმ არაფულად სახსრებს, რომლებიც უცხოურ ვალუტაში განსაზღვრულია ისტორიული ღირებულებით.

ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში, რომელშიც ისინი წარმოიშვება, გარდა უცხოურ ვალუტაში არსებული სესხების საკურსო სხვაობებისა, რომლებიც ეხება კონსტრუქციის ქვეშ მყოფ, მომავალში პროდუქტიული გამოყენებისთვის არსებულ აქტივებს, რომლებიც შესულია აქტივების ღირებულებებში, როდესაც ისინი განიხილებიან, როგორც უცხოურ ვალუტაში არსებული სესხების საპროცენტო ხარჯების კორექტირება.

ცალკეული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

| | 2017 წლის 31 დეკემბერი | 2016 წლის 31 დეკემბერი | 2016 წლის 1 იანვარი |
|---|---|---|---|
| ლარი/1 აშშ დოლარი | 2.5922 | 2.6468 | 2.3949 |
| ლარი/1 ევრო | 3.1044 | 2.7940 | 2.6169 |

ამჟამად, ქართული ლარი საქართველოს გარეთ, ქვეყნების უმრავლესობაში თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა არ არის.

***ძირითადი საშუალებები.*** ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია როგორც თავდაპირველ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და სადაც საჭიროა გაუფასურების რეზერვი.

ძირითადი საშუალებების მთავარი ნაწილების ან კომპონენტების გამოცვლის ხარჯები კაპიტალიზირდება და ხდება ჩანაცვლებული ნაწილების თავიდან მოშორება. შემდგომი ხარჯები კაპიტალიზირდება თუკი ხარჯებიდან წარმოიშვება მომავალი ეკონომიკური სარგებელი. შეკეთება შენარჩუნების უმნიშვნელო ღირებულება აღიარდება ხარჯებში განხორციელების დროს.

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს არის თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ინდიკატორი. ასეთის არსებობის შემთხვევაში, მენეჯმენტი ახდენს აღდგენითი ღირებულების შეფასებას, რომელიც განსაზღვრულია როგორც აქტივის სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები და გამოყენების ღირებულებას შორის უფრო მაღალი. საბალანსო ღირებულება აღდგენად ღირებულებამდე მცირდება, ხოლო გაუფასურების ზარალი წლის მოგება-ზარალში აღიარდება. წინა წლებში აქტივზე აღიარებული გაუფასურების ზარალი აღდგება იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს შეფასების ცვლილებას აქტივის გამოყენებადი ღირებულების ან სამართლიანი ღირებულებისა და გაყიდვის ხარჯების სხვაობის გაანგარიშებაში.

რეალიზაციიდან მიღებული მოგება-ზარალი განსაზღვრულია საბალანსო ღირებულების ცვლილების შედარებიდან გამომდინარე და აღიარებულია მოგება-ზარალის ცალკეულ ანგარიშგებასა და სხვა სრულ შემოსავლებში სხვა საოპერაციო შემოსავალსა და ხარჯების ფარგლებში.

***ცვეთა.*** მიწაზე ცვეთის დარიცხვა არ ხდება. ძირითადი საშუალებების სხვა ნივთებზე ცვეთის კალკულაცია ხდება წრფივი მეთოდით, რათა ღირებულება განაწილდეს მათ სასარგებლო სასიცოცხლო ვადაზე ნარჩენ ღირებულებამდე:

| | სასარგებლო გამოყენების ვადა |
|---|---|
| შენობები და კონსტრუქციები | 10-დან 50 წლამდე |
| ჰიდროტექნიკური სტრუქტურები | 5-დან 60 წლამდე |
| გაზის მილსადენები | 5-დან 40 წლამდე |
| მანქანა დანადგარები | 5-დან 30 წლამდე |
| ავტომობილები - მძიმე სატვირთო მანქანები | 5-დან 20 წლამდე |
| ავტომობილები - მსუბუქი მანქანები | 5-დან 15 წლამდე |
| ავეჯი და სხვა ინვენტარი | 2-დან 10 წლამდე |

აქტივის ნარჩენი ღირებულება წარმოადგენს ღირებულებას, რომელსაც კომპანია მიიღებს აქტივის რეალიზაციიდან გამოკლებული გაყიდვისთვის საჭირო ხარჯები, იმ შემთხვევაში თუკი აქტივი იქნება მისი სასიცოცხლო ვადის ამოწურვის პერიოდში. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასიცოცხლო ვადა საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და კორექტირდება.

***საინვესტიციო ქონება.*** საინვესტიციო ქონება არის კომპანიის მფლობელობაში მყოფი ქონება, საიდანაც კომპანია იღებს საიჯარო შემოსავალს ან რომლის საშუალებითაც ზრდის კაპიტალს ან ორივე და რომელიც არ არის კომპანიის მიერ დაკავებული. საინვესტიციო ქონება თავდაპირველად აღიარებულია მისი ღირებულებით და შემდგომ ხდება გადაფასება განახლებული სამართლიანი ღირებულებით, რათა ანგარიშგების პერიოდის ბოლოს ასახავდეს საბაზრო პირობებს.

კომპანიის საინვესტიციო ქონების საბაზრო ღირებულება განისაზღვრება დამოუკიდებელი შემფასებლების საანგარიშო მოხსენებით, რომლებიც ფლობენ შესაბამის აღიარებულ პროფესიულ კვალიფიკაციას და გააჩნიათ უახლესი გამოცდილება მსგავსი მდებარეობისა და კატეგორიის ქონების შეფასებაში.

გამომუშავებული საიჯარო შემოსავალი აღრიცხულია წლის მოგება-ზარალში სხვა საოპერაციო შემოსავლების მუხლში. საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულებების ცვლილებიდან გამოწვეული მოგება-ზარალი აღრიცხულია წლის მოგება-ზარალში და წარმოდგენილია ცალკე.

საინვესტიციო ქონების ჩამოწერა ხდება მისი რეალიზაციის შედეგად ან მაშინ, როცა საინვესტიციო ქონება მუდმივად გამოუყენებელია და მისგან მომავალი ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელი არ არის. ქონების ჩამოწერით მიღებული ნებისმიერი მოგება ან ზარალი (გამოითვლება როგორც სხვაობა წმინდა რეალიზაციასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის) შედის მოგება-ზარალში იმ პერიოდში, როდესაც მოხდა ქონების ჩამოწერა.

თუკი საინვესტიციო ქონებას დაიკავებს მფლობელი, ის რეკლასიფიცირდება როგორც ძირითადი საშუალება და რეკლასიფიცირების თარიღში მისი საბალანსო ღირებულება გახდება მისი ჩათვლილი ღირებულება საბუღალტრო მიზნებისთვის.

შემდგომი ხარჯები კაპიტალიზირდება აქტივების საბალანსო ღირებულებაზე მხოლოდ მაშინ, როდესაც ხარჯებთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოტანა კომპანიისათვის სავარაუდოა და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. ყველა სხვა შეკეთება-შენარჩუნების ღირებულება აღიარდება ხარჯებში განხორციელების დროს.

***საოპერაციო იჯარა.*** როდესაც კომპანია არის მოიჯარე საიჯარო ურთიერთობებში, რომელიც არ ითვალისწინებს საკუთრებასთან დაკავშირებული თითქმის ყველა რისკისა და სარგებლის მეიჯარიდან კომპანიისთვის გადაცემას, მთლიანი გადახდილი საიჯარო თანხები აღირიცხება მოცემული წლის მოგებ-ზარალში სწორხაზოვანი მეთოდით საიჯარო ურთიერთობის ვადაში. საიჯარო ვადა არის ის არაგაუქმებადი ვადა, რომლითაც მოიჯარემ ხელშეკრულების საფუძველზე

იჯარით აიღო აქტივი იმ დამატებით ვადებთან ერთად, რომლებითაც მოიჯარე უფლებამოსილია გააგრძელოს აქტივის იჯარა შემდგომი ანაზღაურებით თუ მის გარეშე, როცა საიჯარო ურთიერთობის დასაწყისში გონივრულად ნათელია, რომ მოიჯარე ისარგებლებს ამ უფლებამოსილებით.

***არამატერიალური აქტივები.*** კომპანიის არამატერიალურ აქტივებს, გარდა გუდვილისა, აქვთ განსაზღვრული სასარგებლო გამოყენების ვადა და ძირითადად მოიცავენ კომპიუტერულ და საბუღალტრო პროგრამების ლიცენზიებს და მათი აღრიცხვის თანხა უდრისსაწყის ღირებულებას მინუს დაგროვილი ამორტიზაცია. კომპიუტერული პროგრამების ლიცენზიების დაახლოებითი გამოყენების ვადა არის 5 წელი, ხოლო საბუღალტრო პროგრამისთვის - 10 წელი.

**მოგების გადასახადები.** 2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც ყველა პირისათვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა, ძალაში შედის 2017 წლის 1-ლ იანვარს. ახალი მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას 15%-იანი მოგების გადასახადით (ადრე მოქმედი მოდელით კომპანიების მოგებას გადასახადამდე 15%-იანი გადასახადი ერიცხებოდა იმის მიუხედავად, მოგება კომპანიაში რჩებოდა თუ დივიდენდების სახით გაიშვებოდა).

მოგების გადასახადის დარიცხვის ახალი წესი კომპანიისათვის ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. საგადასახადო ბაზა მოიცავს როგორც რეალურ, აგრეთვე ნაგულისხმევ მოგების განაწილებას, მათ შორის:

- განაწილებული მოგება;
- გაწეული ხარჯები ან სხვა გადახდები, რომლებიც არაა კავშირში ეკონომიკურ საქმიანობასთან;
- საქონლის/მომსახურების უფასო მიწოდება ან/და სახსრების გადარიცხვა; და
- წარმომადგენლობითი ხარჯები, რომლებიც აჭარბებს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობას.

განაწილებულ მოგებაზე დარიცხული მოგების გადასახადი აღიარდება ხარჯად დივიდენდების გამოცხადების მომენტისათვის და მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება „მოგების გადასახადის“ ჯგუფში. მიმდინარე და წარსული პერიოდების მიმდინარე საგადასახადო აქტივი და საგადასახადო ვალდებულებები აისახება იმ თანხით, რომელიც, სავარაუდოდ, კომპანიამ უნდა გადაუხადოს საგადასახადო ორგანოებს ან მიიღოს მათგან.

ზემოთ ჩამოთვლილ სხვა კომპონენტებზე დაწესებული გადასახადი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება ჯგუფში „გადასახადები და მოსაკრებლები“.

ახალი კანონმდებლობის ამოქმედების შედეგად, კომპანიამ შეწყვიტა მოგების გადასახადის ხარჯის აღიარება მოგების მიღების მომენტში და მოგების გადასახადს დაარიცხავს მოგების განაწილების შემთხვევაში.

ყველა გადავადებული საგადასახადო ბალანსი გამოთავისუფლდა და აისახა 2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

***დამატებული ღირებულების გადასახადი.*** გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშფაქტურის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოები უშვებენ დღგ-ის ნეტო

ანგარიშსწორებას. გაყიდვასთან და შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აღიარება და ასახვა ხორციელდება ნეტო. თუ დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვი შექმნილია, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოვალის მთლიანი (ბრუტო) თანხის გათვალისწინებით, დღგ-ის ჩათვლით.

**მარაგები.** სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება ან თვითღირებულებით ან წმინდა რეალიზებადი ღირებულებით – იმის მიხედვით, ამ ორი ღირებულებიდან რომელიც უფრო დაბალია. მარაგების ღირებულება დგინდება საშუალო ღირებულების მეთოდით და მოიცავს მარაგების ყიდვასა და ადგილზე მიტანისას გაწეულ ხარჯებს.წმინდა რეალიზებადი ღირებულება არის ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში სავარაუდო სარეალიზაციო ფასი, რომლიდანაც გამოქვითულია დასრულებისა და გაყიდვის საანგარიშო ხარჯები.

**ფინანსური ინსტრუმენტები – შეფასების ძირითადი ტერმინები.** ფინანსური ინსტრუმენტები წარმოდგენილია ამორტიზირებული ღირებულებით, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ.

*ტრანზაქციის ხარჯები* არის ის დამატებითი ხარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან განკარგვას. დამატებითი ხარჯი არის ხარჯი, რომლის გაღებაც არ მოხდებოდა, ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. ტრანზაქციის ხარჯი მოიცავს აგენტებისთვის (მათ შორის, თანამშრომლებისთვის, რომლებიც მოქმედებენ გაყიდვების აგენტების სახით), კონსულტანტებისთვის, ბროკერებისთვის და დილერებისთვის გადახდილ ჰონორარს და საკომისიოებს, სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოების და საფონდო ბირჟების მოსაკრებლებს, და გასხვისების გადასახადებს და მოსაკრებლებს. ტრანზაქციის ხარჯი არ მოიცავს სავალო პრემიებს ან დისკაუნტებს, დაფინანსების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან ფლობის ხარჯებს.

*ამორტიზირებული ღირებულება* არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება თავდაპირველი აღიარებისას, მინუს ნებისმიერი ძირითადი თანხის გადახდები, პლუს დარიცხული პროცენტი და, ფინანსური აქტივების შემთხვევაში, მინუს გაუფასურების ზარალთან დაკავშირებული ჩამოწერა. დარიცხული პროცენტი მოიცავს თავდაპირველი აღიარებისას გადავადებული საოპერაციო ხარჯების ამორტიზაციას და ნებისმიერი დაფარვის თანხის პრემიის ან დისკაუნტის ამორტიზაციას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, მათ შორის, აღიარებისას გადავადებული საკომისიოები  (თუ ასეთი არსებობს) არ არის წარმოდგენილი ცალკე და შეტანილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის შესაბამისი მუხლების საბალანსო ღირებულებებში.

*ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი* არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდში განაწილების მეთოდი, საბალანსო ღირებულებაზე მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთის უზრუნველსაყოფად (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი). ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ამცირებს სავარაუდო სამომავლო ნაღდი ანგარიშსწორების ან ფულად შემოსულობების თანხას (მომავალი საკრედიტო დანაკარგების გარდა) ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო ვადაში ან უფრო მოკლე პერიოდში ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ამცირებს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების ფულად ნაკადებს პროცენტის მომდევნო დადგენის დღისთვის პრემიის ან დისკონტის გარდა, რომელიც ასახავს აღნიშნულ ინსტრუმენტში განსაზღვრულ ცვალებად განაკვეთზე საკრედიტო სპრედს, ან სხვა ცვლადებს, რომლებიც არ არის მორგებული საბაზრო განაკვეთებზე. ამგვარი პრემიები ან დისკონტების ამორტიზაცია ხორციელდება ინსტრუმენტის მთელი პერიოდის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა იმ საკომისიოს, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია.

*ფინანსური აქტივები.* კომპანიის ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება როგორც სესხები და მოთხოვნები.

სესხები და მოთხოვნები არის არადერივატიული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდებით, რომლებიც არაა კოტირებული აქტიურ ბაზარზე. ისინი შედის მიმდინარე აქტივებში, გარდა იმ ფინანსური აქტივებისა, რომელთა დაფარვის ვადა საანგარიშო თარიღის 12 თვეზე შემდეგაა. ეს უკანასკნელნი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

კომპანიის სესხები და მოთხოვნები შედგება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისგან, გაცემული სესხებისა და ფული და ფულის ეკვივალენტებისგან.

*სავაჭრო და სხვა  მოთხოვნები და გაცემული სესხები.* სავაჭრო და სხვა  მოთხოვნები და გაცემული სესხები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

*ფული და ფულის ეკვივალენტები.* ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკთაშორის განთავსებულ მოთხოვნამდე დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს, რომელთა დაფარვის თავდაპირველი ვადა სამი თვე ან უფრო ნაკლებია. ფული და ფულის ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

*ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების გაუფასურება.* გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოგებაში ან ზარალში იმ წელთან დაკავშირებით, რომელშიც წარმოიქმნება იმ ერთი ან მეტი შემთხვევის შედეგად ("ზარალის შემთხვევები"), რომლებიც მოხდა ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ და რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფის სავარუდო მომავალი ფულადი ნაკადების იმ ოდენობაზე ან დროზე, რომლის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია. თუ კომპანია განსაზღვრავს, რომ არ არსებობს არანაირი ობიექტური საფუძველი იმისა, რომ მოხდა გაუფასურება (მნიშვნელოვანი ან უმნიშვნელო) ინდივიდუალურად შეფასებულ ფინანსურ აქტივზე, ის აქტივს მიაკუთვნებს მსგავსი საკრედიტო რისკ-მახასიათებლების მქონე ფინანსური აქტივების ჯგუფს და გაუფასურების თვალსაზრისით ერთობლივად აფასებს მათ. ძირითადი ფაქტორები, რომელთა მიხედვითაც კომპანია განსაზღვრავს, არის თუ არა ფინანსური აქტივი გაუფასურებული, არის მისი ვადაგადაცილების სტატუსი და შესაბამისი უზრუნველყოფის რეალიზებადობა, თუ ასეთი არსებობს. ქვემოთ მითითებული სხვა ძირითადი კრიტერიუმები ასევე გამოიყენება იმის განსაზღვრისთვის, არსებობს თუ არა ობიექტური საფუძველი იმისა, რომ მოხდა გაუფასურების ზარალი:

- შესატანი დაგვიანებულია და დაგვიანებული გადახდა არ არის დაკავშირებული ანგარიშსწორების სისტემებით გამოწვეულ დაგვიანებასთან;
- მსესხებელი განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს, რაც დასტურდება მსესხებელის ფინანსური მდგომარეობის შესახებ კომპანიის მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან;
- მსესხებელი განიხილავს გაკოტრებას ან ფინანსურ რეორგანიზაციას;
- არსებობს უარყოფითი ცვლილება მსესხებლის გადახდის სტატუსში იმ ზოგადად მთელი ქვეყნის თუ ადგილობრივი ეკონომიკური პირობების შედეგად, რომლებიც გავლენას ახდენენ მსესხებელზე; ან
- უზრუნველყოფის ღირებულება მნიშვნელოვნად მცირდება ბაზრის გაუარესებული მდგომარეობის შედეგად.

თუ ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული გაუფასურებული ფინანსური აქტივის პირობები გადაიხედება ან სხვაგვარად შეიცვლება კონტრაგენტის ფინანსური სირთულეების გამო, გაუფასურება იანგარიშება პირობების შეცვლამდე გამოყენებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

გაუფასურების ზარალი ყოველთვის აღიარდება რეზერვის ანგარიშის მეშვეობით აქტივის საბალანსო ღირებულების მოსალოდნელი ფულადი ნაკადების (რომლებშიც არ შედის მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგები, რომლებიც არ დამდგარა) მიმდინარე ღირებულებამდე ჩამოწერით, რომელიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის საანგარიშო მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება ასახავს დასაკუთრებიდან მიღებულ ფულად ნაკადებს, რომლიდანაც გამოქვითულია უზრუნველყოფის მიღებისა და გაყიდვის ხარჯები, მიუხედავად იმისა, დასაკუთრება მოსალოდნელია თუ არა.

თუ რომელიმე მომდევნო პერიოდში გაუფასურების ზარალის თანხა შემცირდა და შემცირება ობიექტურად დაკავშირებულია იმ შემთხვევასთან, რომელიც მოხდა გაუფასურების აღიარების შემდეგ (როგორიცაა გაუმჯობესება დებიტორის საკრედიტო რეიტინგში), მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი გაუქმდება რეზერვის ანგარიშის კორექტირებით, მოცემული წლის მოგების ან ზარალის საფუძველზე. ამოუღებადი (უიმედო) აქტივები ჩამოიწერება შესაბამის გაუფასურების ზარალის რეზერვის ხარჯზე – ამგვარი თანხები ჩამოიწერება აქტივების დაბრუნების ყველა აუცილებელი პროცედურის დასრულების და ზარალის თანხის განსაზღვრის შემდეგ. მანამდე ჩამოწერილი და შემდგომში ამოღებული თანხები მიეკუთვნება გაუფასურების ზარალის ანგარიშს, მოცემული წლის მოგება-ზარალის მიხედვით.

***ფინანსური ვალდებულებები***. კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა გადასახდელებს და აღებულ სესხებს.

***სავაჭრო და სხვა გადასახდელები.*** სავაჭრო და სხვა გადასახდელები თავიდან აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით და შემდეგ ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. სავაჭრო გადასახდელები აღრიცხულია დღგ-ის ჩათვლით.

***ნასესხები სახსრები.*** ნასესხები სახსრები თავიდან აღირიცხება სამართლიან ღირებულებას მინუს ტრანზაქციის ხარჯები. სამართლიანი ღირებულება დგინდება საბაზრო განაკვეთით მსგავს ინსტრუმენტზე. პირველადი აღიარების შემდეგ, ნასესხები სახსრები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, სადაც ყველა სხვაობა თავდაპირველსა და ახლანდელ ღირებულებას შორის აღიარდება იმ პერიოდის მოგება-ზარალის უწყისში საპროცენტო ხარჯად.

ისეთი აქტივების შესყიდვასთან, მშენებლობასთან ან წარმოებასთან პირდაპირ დაკავშირებული სესხის აღების ხარჯები, რომელთა გამოყენებისათვის ან გასაყიდად გამზადებისათვის (კვალიფიცირებული აქტივები) დიდი დრო არის საჭირო, კაპიტალიზდება როგორც ამ აქტივების ხარჯების ნაწილი.

კაპიტალიზაციის დაწყების დღედ ითვლება დღე, როცა (ა) კომპანია გაიღებს ხარჯებს კვალიფიციურ აქტივზე; (ბ) კომპანია მიიღებს ნასესხები სახსრების ხარჯებს; და (გ) კომპანია განახორციელებს იმ საქმიანობას, რომელიც აუცილებელია აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ან სარეალიზაციოდ მომზადებისთვის.

ნასესხები სახსრების კაპიტალიზაცია გრძელდება იმ დღემდე, როდესაც აქტივები არსებითად მზადაა დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ან სარეალიზაციოდ.

კომპანია ახორციელებს იმ ნასესხები სახსრების კაპიტალიზაციას, რომელთა თავიდან აცილებაც შესაძლებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ კომპანია კვალიფიციურ აქტივებზე კაპიტალურ დანახარჯებს არ გასწევდა. კაპიტალური ნასესხები სახსრების გაანგარიშება ხორციელდება კომპანიის საშუალო დაფინანსების ხარჯით (საშუალო შეწონილი საპროცენტო ხარჯი გამოიყენება სათანადო აქტივებზე დანახარჯების მიმართ) გარდა იმ შემთხვევისა, როცა ფინანსური სახსრების სესხად აღება ხდება კვალიფიციური აქტივის მიღების მიზნით. როდესაც ეს მოხდება, კაპიტალიზირდება ნასესხები სახსრების ფაქტობრივად გაღებული ხარჯები, რომლებიდანაც გამოქვითულია ამ ნასესხები სახსრების დროებითი ინვესტიციიდან მიღებული საინვესტიციო შემოსავალი.

***ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება.*** ყველა ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად აღირიცხება სამართლიანი ღირებულებისა და ტრანზაქციის ხარჯების ჯამით. თავდაპირველი აღიარებისას სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. მოგება ან ზარალი თავდაპირველ აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რეალურ ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის არსებობს სხვაობა, რომლის დამტკიცება შესაძლებელია იმავე ინსტრუმენტში სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო გარიგებების საფუძველზე ან ისეთი შეფასების მეთოდით, რომლის მონაცემებიც მოიცავს მხოლოდ  დაკვირვებადი ბაზრების მაჩვენებლებს.

ფინანსური აქტივების ყველა შესყიდვა და გაყიდვა, რომელთა მიწოდდებაც უნდა განხორციელდეს გარკვეულ ვადებში რეგულაციის ან საბაზრო კონვენციის ("ჩვეულებრივი გზით" შესყიდვებსა და გაყიდვებს) მიხედვით, უნდა აღირიცხოს გაყიდვის ან შესყიდვის განხორციელების თარიღში, რომელიც არის ის თარიღი, როდესაც კომპანია შეელევა ან მოიპოვებს ფინანსურ აქტივს. ყველა სხვა შესყიდვა აღიარებულია მაშინ, როდესაც კომპანია გახდება ინსტრუმენტის საკონტრაქტო მხარე.

***ფინანსური აქტივების აღიარების გაუქმება.*** კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა: (ა) აქტივები გადახდილია ან უფლებები, აღნიშნული აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე სხვაგვარად ამოიწურა ან (ბ) კომპანიამ გადასცა უფლებები ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე ან გააფორმა კვალიფიციური გადაცემის  ხელშეკრულება და ამასთან ერთად (1) განახორციელა აქტივების საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკის და ჯილდოს გადაცემა ან (2) საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და ჯილდო არც გადაუცია, არც შეუნარჩუნებია, მაგრამ კონტროლი არ შეუნარჩუნებია. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს გაყიდვაზე შეზღუდვების დაწესების გარეშე არადაკავშირებულ მესამე მხარისთვის აქტივის მთლიანად მიყიდვის პრაქტიკული უნარი.

***გადახდილი ავანსები***. გადახდილი ავანსები აღირიცხება თავდაპირველი ღირებულებით გაუფასურების გამოკლებით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც გადახდილი ავანსი საქონელისთვის ან მომსახურებისთვის სავარაუდოდ მიიღება ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი, თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შეძენისთვის წინასწარ გადახდა გადაეცემა აქტივის საბალანსო ღირებულებას, მას შემდეგ, რაც კომპანიამ კონტროლი მოიპოვა აქტივებზე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოვა. სხვა გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალში, როდესაც წინასწარ გადახდილი საქონლის ან მომსახურების მიღება ხდება. თუ არსებობს იმის მოლოდინი, რომ წინასწარ გადახდილი საქონელი ან მომსახურება არ მიიღება, გადახდილი ავანსის ღირებულება შემცირდება და შესაბამისი თანხა გატარდება როგორც გაუფასურების ზარალი წლის მოგება-ზარალის უწყისში.

***საწესდებო კაპიტალი.*** საწესდებო კაპიტალის მოცულობა განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდებაში ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ კომპანიის მფლობელის

გადაწყვეტილების საფუძველზე. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის კაპიტალში, რადგან ეს არის ის თანხა, რომელიც შემოტანილ იყო კომპანიის მფლობელის მიერ.

***დივიდენდები.*** დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც ისინი გამოაცხადეს და დაამტკიცეს. საანგარიშო პერიოდის შემდეგ გამოცხადებული ნებისმიერი დივიდენდები, რაც ცალკეული ფინანსურ ანგარიშგებების დამტკიცებამდე მოხდა, უნდა გამჟღავნდეს შემდგომ მოვლენებში.

***ვალდებულებების და ჯარიმების რეზერვები.*** ვალდებულებების და ჯარიმების რეზერვები არის არაფინანსური ვალდებულებები გაურკვეველი დროისა და ოდენობის. ისინი დაირიცხება როდესაც კომპანიას აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულიდან გამოწვეული, და სავარაუდოა რომ ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსები იქნება საჭირო იმისათვის, რომ დაიფაროს ვალდებულება და საიმედო შეფასების გაკეთებაც შესაძლებელია. თუ ეფექტი არსებითია, რეზერვის ოდენობა განისაზღვრება დისკონტირების გზით, სადაც გამოყენებულია დაბეგვრამდე საპროცენტო განაკვეთი, რომელიც ასახავს ბაზრის შეფასებას ფულის დროით ღირებულებაზე და ასევე იმ რისკებს რაც დაკავშირებულია მასთან.

***შემოსავლის აღიარება.*** გაზისა და ელექტროენერგიის რეალიზაციისგან მიღებული შემოსავალი აღიარებულია მომხმარებლების მიერ გამოყენებული გაზომილი რაოდენობის მიხედვით.

გარანტირებული სიმძლავრის საფასური თბილსრესის თბოელექტროსადგურისთვის აღიარებულია დღეების რაოდენობის მიხედვით, რა დროსაც ელექტროსადგურს შეუძლია მიაწოდოს ელელქტროენერგია მისი დადგმული სიმძლავრის შესაბამისად. დღიური ტარიფი დგინდება საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ (სემეკი).

შემოსავალი ნაჩვენებია დღგ-ისა და ფასდაკლებების გარეშე.

შემოსავალი იზომება როგორც გაყიდვის შედეგად მიღებული აქტივის სამართლიანი ღირებულება. როდესაც ბარტერულ შეთანხმებაში საიმედოდ ვერ დგინდება მიღებული აქტივის ღირებულება, შემოსავალი აღიარდება იმ აქტივების ან სერვისის ღირებულებით, რომელიც კომპანიამ გასცა ან გაუწია.

**ბარტერული გარიგებები და ურთიერთჩათვლები.** გაყიდვებისა და შესყიდვების ნაწილზე ანგარიშსწორება ხორციელდება ურთიერთჩათვლის, გაცვლის (ბარტერი) ან უნაღდო ანგარიშსწორების გზით. ამ გარიგებებს ჩვეულებრივ აქვთ შემდეგი ფორმები: პირდაპირი ანგარიშსწორება საბოლოო კლიენტისგან განსხვავებული საქონლით და მომსახურებით (ბარტერი), მხარეთა მიერ ერთმანეთისათვის ბალანსების გაუქმება ან უნაღდო ანგარიშსწორება რამდენიმე საწარმოს მონაწილეობით.

გაყიდვებისა და შესყიდვების აღიარება, რომლებზე ანგარიშსწორებაც მოსალოდნელია ურთიერთანგარიშსწორების, ბარტერის ან სხვა უნაღდო ანგარიშსწორების გზით, ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებისას მისაღები ან გადასახდელი სამართლიანი ღირებულების მენეჯმენტისეული გაანგარიშების საფუძველზე. სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება დაკვირვებადი საბაზრო ინფორმაციის გათვალისწინებით.

***ფინანსური შემოსავალი და ხარჯები.*** ფინანსური შემოსავალი და ხარჯები შედგება აღებულ სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯისგან, აღებულ სესხებზე მიღებული საპროცენტო შემოსავლისგან, საბანკო დეპოზიტებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავლებისგან და სავალუტო მოგებისგან და ზარალისგან, რომელიც ეხება სესხებს ან ფულსა და ფულის ეკვივალენტებს.

*თანამშრომლების სარგებელი.* ხელფასები, გადახდილი წლიური შვებულება, ბონუსები და არაფულადი სარგებელი დარიცხულია იმ წლის განმავლობაში, რომელშიც ასოცირებული მომსახურება გაწეულია კომპანიის თანამშრომლების მიერ. კომპანიას არ აქვს კანონიერი ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომ გასცეს პენსიები ან მსგავსი სარგებელი.

*გაქვითვა.* ფინანსური აქტივები და ვალდებულებები დაბალანსდება და წმინდა თანხა აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს იურიდიულად განხორციელებადი უფლება აღიარებული თანხების გაქვითვაზე, და არსებობს ან ნეტო საფუძველზე დარეგულირების ან აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის ერთდროულად განხორციელების განზრახვა.

## 3. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და შეფასების არასარწმუნოების ძირითადი წყაროები

კომპანია აკეთებს შეფასებებს და ვარაუდებს რაც გავლენას ახდენს ცალკეულ ანგარიშგებაში წარდგენილ ციფრებსა და მომავალი საანგარიშგებო პერიოდის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე. შეფასებებისა და ვარაუდების გადახედვა ხდება მუდმივად და თავის მხრივ თითოეული მათგანი დაფუძნებულია მენეჯმენტის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე, მათ შორის მომავალი მოვლენების მოხდენის მოლოდინზე, რომელთა წარმოქმნის ალბათობა მოცემული გარემოებების ქვეშ მიიჩნევა ლოგიკურად.

შეფასებების გარდა, მენეჯმენტი ასევე აკეთებს განსაზღვრებებს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. განსაზღვრებები ახდენენ ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ ციფრებზე, ხოლო შეფასებებს შეუძლიათ მნიშვნელოვნად შეცვალონ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება.

**დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციების საწყისი აღიარება.** კომპანია ბიზნესის ჩვეული საქმიანობისას ახორციელებს ტრანზაქციებს დაკავშირებულ მხარეებთან. ბასს 39 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყის აღიარებას საბაზრო ფასით. როდესაც არ არსებობს აქტიური ბაზარი აქტივისთვის, მენეჯმენტი იყენებს განსაზღვრებებს იმის დასადგენად განხორციელდა თუ არა ტრანზაქცია საბაზრო საპროცენტო განაკვეთით. განსაზღვრისას მენეჯმენტი ეყრდნობა არადაკავშირებულ მხარესთან განხორციელებული მსგავსი ტრანზაქციების ღირებულებას და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზს. დაკავშირებული მხარეებთან არსებული ნაშთების პირობები და გარემოებები გამჟღავნებულია 26-ე შენიშვნაში.

*ძირითადი საშუალებების სარგებლიანობის ვადა.* ძირითადი საშუალებების სარგებლიანობის ვადის განსაზღვრა სუბიექტურია და დამოკიდებულია ასეთ აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებაზე. აქტივისთვის დამახასიათებელი მომავალი ეკონომიკური სარგებლიანობა ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. აქტივის ღირებულების შემცირება ხმარებისას სხვა ფაქტორებმაც შეიძლება გამოიწვიოს. მენეჯმენტი აფასებს დარჩენილ სარგებლიანობის ვადას ახლანდელი ტექნიკური მდგომარეობის და აქტივებიდან სარგებლის მიღების სავარაუდო პერიოდის მიხედვით. შეფასებისას ხდება შემდეგი ძირითადი ფაქტორების გათვალისწინება (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რომელიც საოპერაციო ფაქტორებსა და რემონტის პროგრამაზეა დამოკიდებული; და (გ) ტექნიკური და კომერციული მოძველება, რომელიც საბაზრო პირობების ცვლილებით არის განპირობებული.

*საინვესტიციო ქონების შეფასება.* საინვესტიციო ქონება ფასდება სამართლიანი ღირებულებით დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ გაკეთებული რეპორტის საფუძველზე.

კომპანიის საინვესტიციო ქონების შეფასების რეპორტების მომზადების პროცესში შესადარისი ფასების გათვალისწინებისას გარე შემფასებელმა გამორიცხა აუქციონით გაყიდვის ტრანზაქციები. საინვესტიციო ქონების თითოეული შემთხვევისათვის გამოვლინდა მსგავსი სამი ტრანზაქცია ბაზარზე. რადგან შესადარი აქტივები მაინც განსხვავდებოდა კომპანიის

აქტივებისგან, მოხდა ფასის დაკორექტირება მდებარეობის, მდგომარეობის, ზომის, მისადგომობის, ასაკისა და გამყიდველთან მოლაპარაკებაში შესაძლო ფასდათმობების გათვალისწინებით. კვადრატული მეტრის ამგვარად განსაზღვრული შესადარისი ფასები შემდეგ გამრავლდა შესაფასებელი ქონების ფართობზე და მიღებული იქნა საინვესტიციო ქონების შეფასებული ღირებულება.

მენეჯმენტი გაეცნო შემფასებელთა მიდგომას შესადარისი ქონების შერჩევისა და კვოტირებული საბაზრო ფასების კორექტირების პრინციპების საკითხში და დაადასტურა, რომ არჩეული მიდგომა და მიღებული დასკვნები მოცემული ვითარების შესაბამისი იყო.

**4. ახალი და შესწორებული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა (ფასს) ინტერპრეტაციების გამოყენება**

**შესწორება ფასს-ებში, რომლებიც მოქმედებს ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე**

მიმდინარე წელს, შემდეგი ახალი და შესწორებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები იქნა მიღებული და გამოყენებული კომპანიის მიერ, რამაც ზეგავლენა მოახდინა წინამდებარე ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე:

- შესწორება ბასს 7-ში „განმარტების ინიციატივა";
- ფასს წლიური რედაქტირების 2014-2016 ციკლი - შესწორება ფასს 12-ში.

**შესწორებები ბასს 7 „განმარტების ინიციატივა"**

კომპანიამ ეს შესწორებები პირველად მიმდინარე წელს გამოიყენა. შესწორებები კომპანიისგან მოითხოვს, ისეთი განმარტებები გააკეთოს წარმოდგენილი ინფორმაციის თაობაზე, რაც საშუალებას მისცემს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს, სათანადოდ შეაფასონ ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილ ვალდებულებათა როგორც ფულადი, აგრეთვე არაფულადი ცვლილებები.

კომპანიის ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებები მოიცავს ნასესხებ სახსრებს (შენიშვნა #15). შედარება ამ ჯგუფის ერთეულების საწყის და საბოლოო ნაშთებს შორის მოცემულია მე-15 შენიშვნაში. შესწორებათა გარდამავალი დებულებების შესაბამისად, კომპანიამ წინა პერიოდის შესადარი ინფორმაცია არ განმარტა. გარდა მე-15 შენიშვნაში მოცემული დამატებითი განმარტებისა, შესწორების ამოქმედებას კომპანიის ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაზე სხვაგვარად არ უმოქმედია.

**ფასს წლიური რედაქტირების 2014-2016 ციკლი**

კომპანიამ მიმდინარე წელს პირველად გამოიყენა ფასს-ების წლიური რედაქტირების 2014-2016 წლების ციკლში შესული შესწორება ფასს 12-ში. ამავე ციკლში შედის სხვა შესწორებები, რომელთა ამოქმედება ჯერ სავალდებულო არ არის და კომპანიას მათი გამოყენება ადრეულად არ დაუწყია (ქვემოთ იხილეთ ახალი და რედაქტირებული, ჯერ არამოქმედებული ფასს-ების სია).

ფასს 12-ის შესწორებები განმარტავს, რომ კომპანია არ არის ვალდებული, გასაყიდად განკუთვნილად კლასიფიცირებულ (ან ამგვარად კლასიფიცირებულ, სარეალიზაციო ჯგუფში შესულ) შვილობილ, დაკავშირებულ და ერთობლივ პირებში ფლობილი წილის შესახებ ფინანსური ინფორმაცია შეჯამებული სახით წარმოადგინოს. შესწორებები აზუსტებს, რომ ეს ერთადერთი შეღავათია, რაც კომპანიას ამგვარი წილებისათვის ფასს 12-ში მოცემული განმარტებების ვალდებულებიდან ათავისუფლებს.

ამ შესწორებათა ამოქმედებას კომპანიის ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ უმოქმედია.

**ახალი და რედაქტირებული, გამოქვეყნებული, მაგრამ ძალაში ჯერ არშესული ფასს-ები**

კომპანია არ იყენებს შემდეგ ახალ და რედაქტირებულ, გამოქვეყნებულ მაგრამ ძალაში ჯერ არშესულ ფასს-ებს:

- ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები;
- ფასს 15 - შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან;
- ფასს 16 - იჯარა;
- ფასს 17 - სადაზღვევო კონტრაქტები;
- ფაისკ 22 - სავალუტო ოპერაციები და საავანსო ანაზღაურება;
- ფაისკ 23 - მოგების გადასახადის დამუშავებასთან დაკავშირებული არასარწმუნოება;
- შესწორებები ფასს 2 - იმ ტრანზაქციების კლასიფიკაცია და გაზომვა, რომელთა ანაზღაურება ხდება აქციების მეშვეობით;
- შესწორებები ფასს 10 და ბასს 28 – აქტივების გაყიდვა ან დაბანდება მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში;
- შესწორებები ბასს 40 - საინვესტიციო ქონების გადაცემა;
- შესწორებები ფასს 4 - `ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები~ გამოყენება ფასს 4 `სადაზღვევო კონტრატებთან~ ერთად;
- შესწორებები ფასს 9 - წინასწარი გადახდის მახასიათებლები უარყოფითი ანაზღაურებით;
- შესწორებები ბასს 28 - გრძელვადიანი წილები ასოცირებულ პირებსა და ერთობლივ საწარმოებში;
- ფასს-ების წლიური რედაქტირების 2014-2016 წწ. ციკლი;
- ფასს-ების წლიური რედაქტირების 2015-2017 წწ. ციკლი.

1. ძალაშია 2017 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.
2. ძალაშია 2018 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.
3. ძალაშია 2019 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.
4. ძალაშია ჯერ არგამოცხადებული თარიღიდან ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.

კომპანიის მენეჯმენტი არ ვარაუდობს, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ახალი და რედაქტირებული, მაგრამ ძალაში ჯერ არშესული ფასს-ების გამოყენება ზეგავლენას მოახდენს კომპანიის ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გარდა შემდეგი სტანდარტებისა:

**ფასს 9 “ფინანსური ინსტრუმენტები”**

2009 წლის ნოემბერში გამოქვეყნებული ფასს 9 ახალ მოთხოვნებს აწესებს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და გაზომვის თვალსაზრისით. 2010 წლის ოქტომბერში ფასს 9-ში შევიდა შესწორება, რომელიც ითვალისწინებს მოთხოვნებს ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციის, გაზომვისა და აღიარების გაუქმების თვალსაზრისით. 2013 წლის ნოემბერში კი მას დაემატა ახალი მოთხოვნა ჰეჯირების ზოგად აღრიცხვასთან დაკავშირებით. 2016 წლის ივლისში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოაქვეყნა ფასს 9-ის საბოლოო ვერსია. იგი მთლიანობაში მოიცავს ფინანსური აქტივების გაუფასურების მოთხოვნებსა და მცირე შესწორებებს, გარკვეული მარტივი სავალო ინსტრუმენტების სხვა სრულ შემოსავლებში სამართლიანი ღირებულებით ასახვის თვალსაზრისით. ფასს 9 მიზნად ისახავს, ჩაანაცვლოს ბასს 39 – ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და გაზომვა.

ფასს 9-ის ძირითადი მოთხოვნები:

- **ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და აღრიცხვა.** ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება იმ ბიზნეს-მოდელის მიხედვით, რომელშიც ხდება მათი ფლობა და საკონტრაქტო ფულადი სახსრების მოძრაობის მახასიათებლების გათვალისწინებით. კერძოდ, სავალო ინვესტიციები, რომლებსაც პირი ფლობს ისეთი ბიზნეს მოდელით, რომლის მიზანი საკონტრაქტო ფულადი სახსრების შეკრებაა და რომელთა საკონტრაქტო ფულადი სახსრები მხოლოდ ძირითადი თანხისა და მის დარჩენილ ნაწილზე დარიცხულ პროცენტს მოიცავს, თავდაპირველი აღიარების შემდგომ გაიზომოს ამორტიზებული ღირებულებით. ფასს 9-ის 2014 წლის რედაქციაში შემოტანილია სავალო ინსტრუმენტების აღრიცხვის კატეგორია - `სამართლიანი ღირებულება სხვა სრულ შემოსავლებში". აღნიშნული ეხება სავალო ინსტრუმენტებს, რომლებიც მოქცეულია ისეთ ბიზნეს-მოდელში, რომლის მიზანი მიიღწევა საკონტრაქტო ფულადი ნაკადების შეგროვებითა და ფინანსური აქტივების გაყიდვით. აღნიშნულ სავალო ინსტრუმენტებში გათვალისწინებული უნდა იყოს ფინანსური აქტივის საკონტრაქტო პირობები, რომლებიც კონკრეტულ დღეს წარმოშობს ისეთი ფულადი სახსრების მოძრაობას, რაც წარმოადგენს ძირითადი თანხისა და დარჩენილი თანხის პროცენტის გადახდებსაც. ამგვარი სავალო ინსტრუმენტები, თავდაპირველი აღიარების შემდეგ, იზომება სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავლებში. ყველა სხვა სავალო და წილობრივი ინვესტიცია იზომება სამართლიანი ღირებულებით. გარდა ამისა, ფასს 9-ის მიხედვით, პირს შეუძლია შეუქცევადად წარმოადგინოს კაპიტალში ინვესტიციის (არა სავაჭროდ განკუთვნილისა) სამართლიანი ღირებულების რეტროსპექტიული ცვლილებები და მოგება-ზარალში მხოლოდ დივიდენდური შემოსავლები ასახოს.
- **ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და აღრიცხვა.** მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახულ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებით, ფასს 9 ითხოვს, რომ ამ ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებით გამოწვეული სამართლიანი ღირებულების ცვლილების ოდენობა წარმოდგენილი იქნეს სხვა სრულ შემოსავლებში, თუ ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილების შედეგების აღიარება სხვა სრულ შემოსავლებში საბუღალტრო შეუსაბამობას შექმნის ან გაზრდის მას მოგება-ზარალში. ფინანსური ვალდებულების საკრედიტო რისკით გამოწვეული სამართლიანი ღირებულების ცვლილება შემდგომში მოგება-ზარალში არ რეკლასიფიცირდება. ბასს 39-ის მიხედვით, მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური ვალდებულების სამართლიანი ღირებულების ცვლილების მთელი ოდენობა მოგება-ზარალში აღირიცხება.
- **გაუფასურება.** ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან დაკავშირებით, ფასს 9 მოითხოვს ფინანსური აქტივების გაუფასურების გაზომვის "მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის" მოდელის გამოყენებას, რაც ბასს 39-ის გაწეული საკრედიტო დანაკარგის მოდელის საპირისპიროა. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მოდელი მეწარმე პირს ავალდებულებს, ყოველ საანგარიშო დღეს აღრიცხოს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები და მათი ცვლილება ისე, რომ მან ასახოს საკრედიტო რისკის ცვლილება თავდაპირველი აღიარების შემდგომ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აღარ არის აუცილებელი საკრედიტო დანაკარგის აღიარებას წინ საკრედიტო ხდომილება უსწრებდეს.
- **ჰეჯირების აღრიცხვა.** ჰეჯირების აღრიცხვის ახალი მოდელი ინარჩუნებს ჰეჯირების აღრიცხვის მექანიზმების სამ ძირითად სახეს, რომელიც, დღესდღეობით, ასახულია ბასს 39-ში. ფასს 9 მეწარმეებს სთავაზობს უფრო მოქნილ მიდგომას ჰეჯირების აღრიცხვის ტრანზაქციების ტიპებთან მიმართებაში. კერძოდ, გაფართოებულია იმ ინსტრუმენტების სახეობათა რიგი, რომლებიც კლასიფიცირდება ჰეჯირების ინტრუმენტებად და არასაფინანსო ერთეულების რისკის კომპონენტების ისეთი ტიპების რაოდენობა, რომლებიც შეიძლება ჰეჯირების აღრიცხვისთვის გამოვიყენოთ. გარდა ამისა, ეფექტურობის ტესტი გაუქმდა და ჩანაცვლდა "ეკონომიკური ურთიერთობის" პრინციპით. ასევე აღარ არის საჭირო ჰეჯის ეფექტურობის რეტროსპექტიული შეფასება. ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისათვის შემოტანილია გაზრდილი მოთხოვნები მეწარმის რისკის მართვის ღონისძიებებთან დაკავშირებით.

მენეჯმენტს ჯერ არ დაუსრულებია 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზი. ამ დღეს არსებული ფაქტებისა და გარემოებების საფუძველზე, კომპანიის ხელმძღვანელობა მოელის, რომ ფასს 9-ის გამოყენება ზეგავლენას იქონიებს სავაჭრო მოთხოვნებსა და გაცემულ სესხებზე.

მთლიანობაში, კომპანიის ხელმძღვანელობის პროგნოზით, მომავალში ფასს 9-ის მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების მოდელის გამოყენება შედეგად მოიტანს შესაბამის პუნქტებზე საკრედიტო დანაკარგების ადრეულ აღიარებას და გაზრდის ამ პუნქტებისათვის აღიარებული დანაკარგების რეზერვის მოცულობას.

**ფასს 15 – შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან**

ფასს 15 მეწარმე პირებს კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვის ერთიან, სრულ მოდელს სთავაზობს. ძალაში შესვლის შემდეგ ფასს 15 ჩაანაცვლებს შემოსავლის აღიარების არსებულ პრინციპს, მათ შორის ბასს 18 – შემოსავლები, ბასს 11 – სამშენებლო კონტრაქტები და მათთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს.

ფასს 15-ის მიხედვით, პირმა შემოსავალი ისე უნდა აღიაროს, რომ ამით ასახოს კლიენტებისათვის ნაკისრი საქონლისა თუ მომსახურების გადაცემა ისეთი თანხით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რის მიღებასაც პირი ვარაუდობს ამ საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ. კერძოდ, სტანდარტი გვთავაზობს ერთ, პრინციპებზე დაფუძნებულ, ხუთეტაპიან მოდელს, რომელიც შემოსავლის აღიარებაზე ვრცელდება:

- კონტრაქტის კლიენტთან იდენტიფიცირება;
- საკონტრაქტო ვალდებულებების დადგენა;
- ტრანზაქციის ფასის განსაზღვრა;
- ტრანზაქციის ფასის მიკუთვნება საკონტრაქტო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი საკონტრაქტო ვალდებულებას შეასრულებს.

ფასს 15-ის მიხედვით, პირი შემოსავალს აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელსა თუ მომსახურებაზე "კონტროლი" კლიენტს გადაეცემა. უფრო დირექტიული ხასიათის ინსტრუქცია დაემატა კონკრეტულ სცენარებს. ასევე შემოდის შემოსავლის განმარტების ახალი მოთხოვნები.

2016 წლის აპრილში სტანდარტების საბჭომ გამოსცა ფასს 15-ის განმარტებითი ბარათი, რომელიც მაჩვენებლების ვალდებულებათა იდენტიფიკაციას, კონტრაგენტის ანაზღაურებისა და ძირითადი თანხის შეპირისპირებასა და ლიცენზირების განაცხადის პროცედურას მოიცავს.

კომპანიის მენეჯმენტის აზრით, მომავალში ფასს 15-ის გამოყენებამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიოს შემოსავლის აღიარების მოცულობასა და ვადებზე. თუმცა, დეტალური ანალიზის გარეშე ახალი ფასს-ის ეფექტის სათანადოდ შეფასება არამართებულია.

**ფასს 16 - იჯარა**

ფასს 16-ში მოცემულია საიჯარო გარიგებების გამოვლენისა და იჯარის ხელშეკრულების ორივე მხარის აღრიცხვიანობის პრინციპები. ძალაში შესვლისას ეს სტანდარტი ჩაანაცვლებს იჯარის შესახებ ამჟამად მოქმედ პრინციპებს, მათ შორის ბასს 17-სა და მასთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს.

ფასს 16-ში საიჯარო და მომსახურების კონტრაქტები ერთმანეთისგან განსხვავდება იმის მიხედვით, აკონტროლებს თუ არა მოცემულ აქტივს კლიენტი. საოპერაციო იჯარის (არასაბალანსო) და ფინანსური იჯარის (საბალანსო) განსხვავებები უქმდება და ნაცვლდება მოდელით, რომლის მიხედვით გამოყენების უფლების მატარებელი აქტივი და შესაბამისი ვალდებულება, ყველა სახის იჯარის შემთხვევაში, უნდა აღიაროს იჯარის მიმღებმა (ანუ ყველა საბალანსო იჯარისა). აღნიშნული არ ეხება დაბალღირებულებიანი აქტივების იჯარებსა და მოკლევადიან იჯარებს.

გამოყენების უფლების მატარებელი აქტივი თავდაპირველად აისახება თვითღირებულებით, შემდგომში კი (გამონაკლისების გათვალისწინებით) თვითღირებულებისა და დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის სხვაობით, რომელიც საიჯარო ვალდებულების ნებისმიერი გადაფასებისას კორექტირდება. საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად აისახება აღიარების დღეს გადაუხდელი საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით. ამის შემდგომ საიჯარო ვალდებულება კორექტირდება პროცენტისა და საიჯარო გადახდების ოდენობით, აგრეთვე, სხვა ფაქტორთა შორის, იჯარის ცვლილების გათვალისწინებით. გარდა ამისა, ცვლილება ეხება ფულადი ნაკადების კლასიფიკაციას, რადგან ბასს 17-ით გათვალისწინებული საოპერაციო იჯარის გადახდები საოპერაციო ფულად ნაკადებში აისახება; მეორე მხრივ, ფასს 16-ის მოდელით, საიჯარო გადახდები იყოფა ძირითად და პროცენტის ნაწილებად და, შესაბამისად, შედის ფინანსური და საოპერაციო ფულადი ნაკადების გაანგარიშებაში.

იჯარის მიმღების მხარეს არსებული აღრიცხვისგან განსხვავებით, ფასს 16-ში იჯარის გამცემის მხრიდან აღრიცხვიანობის პრინციპები ბასს 17-თან შედარებით მნიშვნელოვანწილად იგივეა. აქაც, იჯარის გამცემი მოვალეა, იჯარა ან საოპერაციო იჯარად ჩათვალოს ან ფინანსურ იჯარად.

გარდა ამისა, ფასს 16 მასშტაბურ განმარტებებსაც მოითხოვს.

რაც შეეხება ფინანსურ იჯარას, კომპანიას ფინანსური იჯარა არ გააჩნია, ხოლო ისეთ შემთხვევებში, როდესაც კომპანია არის მეიჯარის როლში (როგორც საოპერაციო, აგრეთვე ფინანსურ იჯარაში), კომპანიის მენეჯმენტი არ ვარაუდობს, რომ ფასს 16-ის ამოქმედებას შეიძლება მნიშვნელოვანი ზეგავლენა ჰქონდეს კომპანიის ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე. თუმცა, ამჟამად, ამ სტანდარტის ეფექტის სათანადო შეფასება, დეტალური ანალიზის გარეშე, გონივრული იქნებოდა.

**ფაისკ 22 - სავალუტო ოპერაციები და საავანსო ანაზღაურება**

ფაისკ 22 არეგულირებს აქტივის, ხარჯის ან შემოსავლის თავდაპირველი აღიარებისას გამოსაყენებელი გაცვლითი კურსის დასადგენად `ტრანზაქციის თარიღის˜ განსაზღვრას, როდესაც ამ ერთეულის ანაზღაურება წინასწარ გადახდილი ან მიღებულია უცხოურ ვალუტაში და ამან გამოიწვია არაფულადი აქტივის ან არაფულადი ვალდებულების (მაგალითად, არაანაზღაურებადი დეპოზიტის ან გადავადებული შემოსავლის) აღიარება.

ინტერპრეტაცია აკონკრეტებს, რომ ტრანზაქციის თარიღი არის ის დღე, როდესაც კომპანია პირველად აღიარებს საავანსო ანაზღაურების გადახდიდან ან მიღებიდან წარმოშობილ არაფულად აქტივს ან არაფულად ვალდებულებას. თუ საქმე ეხება რამდენიმე საავანსო გადახდას ან გადახდის მიღებას, ინტერპრეტაცია კომპანიებს ავალდებულებს, ტრანზაქციის თარიღი დაადგინოს საავანსო ანაზღაურების გადახდის ან მიღების თითოეული შემთხვევისათვის.

ინტერპრეტაცია ძალაშია 2018 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ვადამდელი გამოყენება დაშვებულია. კომპანიებს ინტერპრეტაციის გამოყენება შეუძლიათ რეტროსპექტიულად ან პროსპექტიულად. პროსპექტიული გამოყენებისას ძალაში შედის კონკრეტული გარდამავალი დებულებები.

კომპანიის ხელმძღვანელობა არ ელის, რომ ფაისკ 22-ის გამოყენებას მნიშვნელოვანი ზეგავლენა ექნება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე, რადგან კომპანია ამჟამად უკვე იყენებს ამ ინტერპრეტაციაში აღწერილ მიდგომას.

**შესწორებები ბასს 40 „საინვესტიციო ქონების გადაცემა“**

შესწორებები მიზნად ისახავს იმის განმარტებას, რომ კომპანიას ქონების რეკლასიფიცირება საინვესტიციო ქონებად ან პირიქით შეუძლია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს იმის მტკიცებულება, რომ ადგილი ჰქონდა ქონების გამოყენების ფორმის ცვლილებას. შესწორებები ხაზს უსვამს, რომ გამოყენების ფორმის ცვლილების მტკიცებულება შეიძლება განსხვავდებოდეს ბასს 40-ში ჩამოთვლილთაგან და რომ გამოყენების ფორმის ცვლილება შესაძლებელია მიმდინარე მშენებლობებისათვის (ანუ გამოყენების ფორმის ცვლილება არ ვრცელდება მხოლოდ დასრულებულ ქონებაზე).

შესწორებები ეხება 2018 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებულ წლიურ პერიოდებს. ადრეული გამოყენება ნებადართულია. კომპანიას შეუძლია შესწორება გამოიყენოს რეტროსპექტიულად (თუ ეს შესაძლებელია „წინა რიცხვით ცოდნის“ ეფექტის გარეშე) ან პროსპექტიულად. მოქმედებს გარდამავალი დებულებები.

კომპანიის მენეჯმენტის აზრით, ამ შესწორებათა გამოყენებამ შეიძლება არსებითი ზეგავლენა იქონიოს კომპანიის ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაზე მომავალ პერიოდებში, ქონების გამოყენების ფორმის ცვლილების შემთხვევაში.

**ფაისკ 23 - მოგების გადასახადის დამუშავებასთან დაკავშირებული არასარწმუნოება**

ფაისკ 23 განმარტავს, თუ როგორ უნდა დაადგინოს კომპანიამ ბუღალტრული საგადასახადო პოზიცია, როდესაც არსებობს მოგების გადასახადთან დაკავშირებული არასარწმუნოება. ინტერპრეტაცია კომპანიას ავალდებულებს, რომ მან:

- დაადგინოს, არასარწმუნო საგადასახადო პოზიციები ინდივიდუალურად ფასდება თუ ჯგუფურად; და
- შეაფასოს, რამდენად სავარაუდოა, საგადასახადო ორგანო დაეთანხმოს კომპანიის მიერ მოგების გადასახადის დეკლარაციებში გამოყენებული ან შემოთავაზებული არასარწმუნო საგადასახადო დამუშავების ფორმას:
    - თანხმობის შემთხვევაში, კომპანიამ ბუღალტრული საგადასახადო პოზიცია დაადგინოს მოგების გადასახადის დეკლარაციებში გამოყენებული ან ნავარაუდევი ბუღალტრული დამუშავების შესაბამისად.
    - უარის შემთხვევაში, კომპანიამ არასარწმუნოების ეფექტი უნდა ასახოს ბუღალტრული საგადასახადო პოზიციის დადგენაში.

ინტერპრეტაცია ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ვადამდელი გამოყენება ნებადართულია. კომპანიებს შეუძლიათ შესწორება გამოიყენონ მთლიანად რეტროსპექტიულად (თუ ეს შესაძლებელია უკანა რიცხვით ცოდნის ეფექტის გარეშე) ან ნაწილობრივ რეტროსპექტიული მიდგომით შედარებითი მონაცემების გადაფასების გარეშე.

კომპანიის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ ამ ინტერპრეტაციის გამოყენება არსებით ზეგავლენას იქონიებს კომპანიის ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაზე, რადგან კომპანია ამჟამად იყენებს შესაბამის არასარწმუნო საგადასახადო პოზიციების აღიარების ფაისკ 23-ში მითითებული მიდგომის პრინციპებს.

**ფასს-ების წლიური რედაქტირების 2014-2016 წწ. ციკლი**

წლიური რედაქტირების ციკლი მოიცავს შესწორებებს ფასს 1 და ბასს 28-ში, რომლებიც ჯერ კომპანიისათვის სავალდებულო არ არის. პაკეტში აგრეთვე შედის ფასს 12-ის შესწორება, რომელიც უკვე სავალდებულოა მიმდინარე წელს - გამოყენების დეტალები იხილეთ ქვეთავში „ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე მოქმედი ფასს-ების“ თაობაზე.

ბასს 28-ის მიხედვით, ვენჩურული კაპიტალის ორგანიზაციას და მსგავს პირებს შეუძლიათ მეკავშირე საწარმოებში და ერთობლივ საწარმოებში არსებული მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ინვესტიციები ასახონ ინდივიდუალურად თითოეული მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოსათვის. ეს არჩევანი კომპანიამ უნდა გააკეთოს მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოს თავდაპირველი აღიარებისას. ისეთი პირის ოფციის შემთხვევაში, რომელიც არ არის საინვესტიციო კომპანია, მისი მეკავშირე და ერთობლივი საწარმოების, ამავდროულად, საინვესტიციო კომპანიების მიერ გამოყენებული რეალური ღირებულებით ასახვის შენარჩუნების თავისუფლება, მაშინ, როდესაც თავად კომპანია წრფივ მეთოდს იყენებს, შესწორება ასევე განმარტავს, რომ კომპანიას ამ მიდგომის გამოყენება შეუძლია თითოეული მეკავშირე და ერთობლივი საწარმოს შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი პირები საინვესტიციო კომპანიებია. შესწორებები ძალაშია რეტროსპექტიულად. ვადამდელი გამოყენება ნებადართულია.

როგორც ფასს 1-ის, აგრეთვე ბასს 28-ის შესწორებები ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. კომპანიის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ ამ შესწორებათა გამოყენება არსებით ზეგავლენას იქონიებს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე, ვინაიდან კომპანია ამჟამად ფასს-ებს უკვე იყენებს და არც ვენჩურული კაპიტალით დაფუძნებული ორგანიზაციაა. გარდა ამისა, კომპანიას არ გააჩნია დაკავშირებული პირი ან ერთობლივი საწარმო, რომელიც თავად იქნებოდა საინვესტიციო კომპანია.

**ფასს-ების წლიური რედაქტირების 2015-2017 წწ. ციკლი**

ფასს-ების წლიური რედაქტირების 2015-2017 წწ. ციკლი მოიცავს რამდენიმე სტანდარტის შესწორებას.

ფასს 3-ის შესწორება განმარტავს, რომ თუ კომპანიამ კონტროლი დაამყარა ისეთ ბიზნესზე, რომელიც ერთობლივ საქმიანობას წარმოადგენს, მან ხელახლა უნდა შეაფასოს ამ ბიზნესში ფლობილი წილები. ფასს 11-ის შესწორება განმარტავს, რომ თუ კომპანიამ ერთობლივი კონტროლი დაამყარა ისეთ ბიზნესზე, რომელიც ერთობლივ საქმიანობას წარმოადგენს, მან ხელახლა არ უნდა შეაფასოს ამ ბიზნესში ფლობილი წილები.

ბასს 12-ის შესწორება განმარტავს, რომ დივიდენდების (ანუ მოგების განაწილების) მოგების გადასახადზე მოქმედი შედეგები მოგება-ზარალის ანგარიშგებაში უნდა აღიარდეს იმის მიუხედავად, თუ როგორ წარმოიშვა გადასახადი.

ბასს 23-ის შესწორება განმარტავს, რომ თუ შესაბამისი აქტივის გამოსაყენებლად ან გასაყიდად გამზადების შემდეგ დასაფარი დარჩა ნასესხები სახსრების რაიმე ნაწილი, ნასესხებ სახსრებზე კაპიტალიზაციის კოეფიციენტის გამოთვლის პროცესში ეს სესხი უნდა შევიდეს იმ თანხებში, რომლებსაც კომპანია ზოგადად სესხულობს.

ყველა შესწორება ძალაშია 2019 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის.

კომპანიის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ ამ შესწორებათა გამოყენება არსებით ზეგავლენას იქონიებს კომპანიის ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

## 5. ძირითადი საშუალებები

შემდეგი ცხრილი აჩვენებს ძირითადი საშუალებების მოძრაობას 2017 და 2016 წლების 31 დეკემბერს და 2016 წლის 1 იანვარს დასრულებული წლებისთვის:

| *ათასობით ლარში* | მიწა, შენობები, ნაგებობები და დაუმთავრებელი მშენებლობა | ჰიდროტექნიკური სტრუქტურები | გაზის მილსადენები | მანქანა-დანადგარები | ავტომანქანები | ავეჯი და სხვა ინვენტარი | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ღირებულება** | | | | | | | |
| **2016 წლის 1-ელ იანვარს** | **37,152** | **28,903** | **401** | **33,563** | **2,353** | **1,136** | **103,508** |
| დამატება | 343 | 226 | - | 692 | 782 | 202 | 2,245 |
| ჩამოწერა | (200) | - | - | (88) | (199) | (18) | (505) |
| ჯგუფს შიდა რეკლასიფიკაციები | (596) | 22 | - | 510 | - | 64 | - |
| **2016 წლის 31 დეკემბერს** | **36,699** | **29,151** | **401** | **34,677** | **2,936** | **1,384** | **105,248** |
| დამატება | 333 | 14 | - | 778 | 317 | 308 | 1,750 |
| ჩამოწერა | (7,332) | - | - | (52) | (176) | (96) | (7,656) |
| გადატანა საინვესტიციო ქონებიდან | 11,434 | - | - | - | - | - | 11,434 |
| ჯგუფს შიდა რეკლასიფიკაციები | (110) | - | - | (38) | 1 | 147 | - |
| **2017 წლის 31 დეკემბერს** | **41,024** | **29,165** | **401** | **35,365** | **3,078** | **1,743** | **110,776** |
| **დაგროვილი ცვეთა** | | | | | | | |
| დაგროვილი ცვეთა 2016 წლის 1-ელ იანვარს | **5,062** | **5,415** | **229** | **12,310** | **830** | **672** | **24,518** |
| ცვეთა | 545 | 637 | 57 | 1,896 | 188 | 142 | 3,465 |
| დაგროვილი ცვეთა ჩამოწერილ აქტივებზე | (6) | - | - | (11) | (79) | (15) | (111) |
| ჯგუფს შიდა რეკლასიფიკაციები | (246) | - | 1 | 245 | 1 | (1) | - |
| **2016 წლის 31 დეკემბერს** | **5,355** | **6,052** | **287** | **14,440** | **940** | **798** | **27,872** |
| ცვეთა | 738 | 636 | 57 | 1,870 | 246 | 208 | 3,755 |
| დაგროვილი ცვეთა ჩამოწერილ აქტივებზე | (28) | - | - | (45) | (113) | (75) | (261) |
| ჯგუფს შიდა რეკლასიფიკაციები | (89) | - | - | - | - | 89 | - |
| **2017 წლის 31 დეკემბერს** | **5,976** | **6,688** | **344** | **16,265** | **1,073** | **1,020** | **31,366** |
| **წმინდა ღირებულება** | | | | | | | |
| **2016 წლის 1 იანვარს** | **32,090** | **23,488** | **172** | **21,253** | **1,523** | **464** | **78,990** |
| **2016 წლის 31 დეკემბერს** | **31,344** | **23,099** | **114** | **20,237** | **1,996** | **586** | **77,376** |
| **2017 წლის 31 დეკემბერს** | **35,048** | **22,477** | **57** | **19,100** | **2,005** | **723** | **79,410** |

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ძირითადი საშუალებები, რომელთა წმინდა ღირებულება 72,369 ათას ლარს შეადგენდა (2016 წლის 31 დეკემბრისთვის: 70,034 ათას ლარს, 2016 წლის 1 იანვრისათვის: 69,431) სესხების უზრუნველყოფის მიზნით მესამე პირებზე იპოთეკით იყო დატვირთული. (იხილეთ შენიშვნა 15).

## 6. საინვესტიციო ქონება

კომპანიის საინვესტიციო ქონების საბალანსო ღირებულების მოძრაობა შემდეგნაირია:

| *ათასობით ლარში* | 2017 | 2016 |
|---|---|---|
| **საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება 1-ელ იანვარს** | **11,434** | **9,987** |
| დამატება | - | 637 |
| გადატანა ძირითად საშუალებებში | (11,434) | - |
| საინვესტიციო ქონების გადაფასებისგან მიღებული მოგება | - | 810 |
| **საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება 31 დეკემბერს** | **-** | **11,434** |

2017 წელს თბილისში მდებარე კომერციული შენობა, რომელიც ძირითადად, დაკავშირებულ პირებზე იყო გაქირავებული, საინვესტიციო ქონების განსაზღვრებაში აღარ მოხვდა, რადგან იგი დაიკავა მესაკუთრემ და გადავიდა ძირითადი საშუალებების კატეგორიაში.

კომპანიის საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრისა და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დადგინდა დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ, რომელიც არ წარმოადგენს კომპანიასთან დაკავშირებულ პირს. ხსენებულ დამოუკიდებელ შემფასებელს აქვს მსგავს მდებარეობის მქონე ქონების შეფასების შესაბამისი კვალიფიკაცია და გამოცდილება.

შეფასებული ქონება წარმოადგენს ზოგადი დანიშნულების, არასპეციალიზებულ შენობებს - კომერციულ ფართებსა და მიწის ნაკვეთებს. სამართლიანი ღირებულების დადგენის მიზნით, შემფასებელმა გამოიყენა გაყიდვის შედარებითი მეთოდი, რომელიც ღია ბაზარზე საკმარისი შესადარი მონაცემების არსებობის პირობებში, უძრავი ქონების შეფასების აღიარებული მეთოდია. იგი ეფუძნება მსგავს ქონებაზე ბოლოდროინდელი ტრანზაქციების ფასებს.

| ათასობით ქართულ ლარში | სამართლიანი ღირებულების იერარქია | 2017 წლის 31 დეკემბერი | 2016 წლის 31 დეკემბერი | 2016 წლის 1 იანვარი |
|---|---|---|---|---|
| მიწა და შენობები თბილისში, გაზაფხულის ქუჩაზე | დონე 3 | - | 11,434 | 9,987 |
| **საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება 31 დეკემბერს** | | **-** | **11,434** | **9,987** |

## 7. ინვესტიციები ასოცირებულ პირებში

კომპანიის ყველა ძირითადი ასოცირებული პირი რეგისტრირებულია საქართველოში და მათ შესახებ ინფორმაცია მოცემულია 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრისა და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

| ათასობით ლარში | | 31 დეკემბერი 2017 | | 31 დეკემბერი 2016 | | 1 იანვარი 2016 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| დასახელება | საქმიანობა | საბალანსო ღირებულება | ფლობილი წილი | საბალანსო ღირებულება | ფლობილი წილი | საბალანსო ღირებულება | ფლობილი წილი |
| შპს „გამა +“ | ბუნებრივი აირის საცალო გაყიდვა | 1,000 | 25% | 1,000 | 25% | 1,000 | 25% |
| | | **1,000** | | **1,000** | | **1,000** | |

## 8. ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში

კომპანიის ყველა ძირითადი შვილობილი კომპანია რეგისტრირებულია საქართველოში და მათ შესახებ ინფორმაცია მოცემულია 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრისა და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

| ათასობით ლარში | | 31 დეკემბერი 2017 | | 31 დეკემბერი 2016 | | 1 იანვარი 2016 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| დასახელება | საქმიანობა | საბალანსო ღირებულება | ფლობილი წილი | საბალანსო ღირებულება | ფლობილი წილი | საბალანსო ღირებულება | ფლობილი წილი |
| შპს „სი პაუერი“ | ელექტროენერგიის გენერაცია | 20,463 | 100.0% | 5,038 | 100.0% | 1,599 | 100.0% |
| შპს „ბათუმი სითი“ | უძრავი ქონების განვითარება | 16,738 | 100.0% | 16,581 | 100.0% | 16,529 | 100.0% |
| შპს „ნეოგაზი“ | გაზგასამართი ოპერატორი | 15,445 | 100.0% | 15,445 | 100.0% | 15,455 | 100.0% |
| შპს „რიცეულაჰესი“ | ელექტროენერგიის გენერაცია | 3,156 | 88.5% | 3,156 | 88.5% | 3,156 | 88.5% |
| შპს „პაუერ-ექსპორტი“ | გაზზე მომუშავე ავტომანქანების შემოწმება | 24 | 100.0% | - | 100% | - | 100% |
| შპს „პაუერ-ტრეიდი“ | ელექტროენერგიით ვაჭრობა | - | 100.0% | - | 100.0% | - | 100.0% |
| შპს „ჯორჯიან ჰაიდრო ფაუერ EPC“ | ჰესების საინჟინრო პროექტირება | - | 51.0% | - | 51.0% | - | 51.0% |
| შპს „იქს გაზი“ | გაზგასამართი ოპერატორი | - | 50% | - | 50% | - | 50% |
| | | **55,826** | | **40,220** | | **36,739** | |

## 9. გაცემული სესხები

| *ათასობით ლარში* | საპროცენტო განაკვეთი | 2017 წლის 31 დეკემბერი | 2016 წლის 31 დეკემბერი | 2016 წლის 1 იანვარი |
|---|---|---|---|---|
| **გრძელვადიანი** | | | | |
| ფიზიკური პირები | 13.0% - 20.0% | 13 | 17 | 22 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| შპს „საქნახშირი“ | 16% | - | - | 4,772 |
| სს „ხაშურის მინის ტარა“ | 15% | - | - | 278 |
| შპს. გლობალური საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია | 18% | - | 7 | - |
| **სულ გრძელვადიანი გაცემული სესხები, ბრუტო** | | **13** | **24** | **5,072** |

| *ათასობით ლარში* | საპროცენტო განაკვეთი | 2017 წლის 31 დეკემბერი | 2016 წლის 31 დეკემბერი | 2016 წლის 1 იანვარი |
|---|---|---|---|---|
| მიმდინარე | | | | |
| შპს საქნახშირი | 13.6% - 16.0% | 15,110 | 9,611 | 3,232 |
| შპს ლურაქ ინვესთმენთსი | 9.6% | 6,922 | 4,628 | - |
| შპს „ჯეო დეველოპმენტი“ | 8.3% - 11.1% | 4,561 | - | - |
| სს „ხაშურის მინის ტარა“ | 15.0% | 809 | 528 | 37 |
| შპს „ნეოგაზი“ | 8.5% - 11.6% | 576 | - | - |
| ფიზიკური პირები | 10.8% - 20.0% | 349 | 383 | 101 |
| შპს 1 სტერეო | 15.0% | 370 | 293 | 631 |
| შპს გლობალტრანსი | 14.1% | 159 | 186 | - |
| შპს „პაუერ-ტრეიდი“ | 14.0% | 30 | 28 | 25 |
| შპს „ბიზნეს-ცენტრი საბურთალო“ | 9.6% | 1 | 338 | - |
| შპს „გლობალური საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია“ | 11.4% | - | - | 146 |
| **სულ მოკლევადიანი გაცემული სესხები, ბრუტო** | | **28,887** | **15,995** | **4,172** |

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრისა და 2016 წლის 1 იანვრისათვის, დარიცხული პროცენტი გაცემულ სესხებზე შეადგენს 5,428 ათას, 4,247 ათას და 3,449 ათას ლარს, შესაბამისად.

გაცემული სესხები ნაწილობრივ მოიცავს დაკავშირებულ მხარეთა ბალანსებს და ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაში ეს სესხები ასახულია, როგორც მიმდინარე, საკონტრაქტო პირობების საფუძველზე და ეს პირობები შეიძლება შეიცვალოს. დაკავშირებული მხარეების ბალანსების პირობები განმარტებულია შენიშვნაში 26.

გაცემული სესხების სამართლიანი ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბერს იყო 28,900 ათასი ლარი (2016 წლის 31 დეკემბერს: 16,019 ათასი ლარი და 2016 წლის 1 იანვარს: 9,244 ათასი ლარი). სესხებზე საპროცენტო განაკვეთები ფიქსირებულია.

გაცემული სესხები ვალუტების მიხედვით შემდეგნაირადაა გადანაწილებული:

| *ათასობით ლარში* | 2017 წლის 31 დეკემბერი | 2016 წლის 31 დეკემბერი | 2016 წლის 1 იანვარი |
|---|---|---|---|
| გაცემული სესხები დენომინირებული: | | | |
| - ლარში | 16,860 | 10,464 | 8,379 |
| - აშშ დოლარში | 10,061 | 5,262 | 234 |
| - ევროში | 1,979 | 293 | 631 |
| **გაცემული სესხები, წმინდა** | **28,900** | **16,019** | **9,244** |

გაცემული სესხების ვადიანობა შემდეგნაირია:

| *ათასობით ლარში* | 2017 წლის 31 დეკემბერი | 2016 წლის 31 დეკემბერი | 2016 წლის 1 იანვარი |
|---|---|---|---|
| ერთ წელზე ნაკლები | 28,887 | 15,995 | 4,172 |
| ერთიდან ორ წლამდე | 5 | 12 | 5,055 |
| ორიდან ხუთ წლამდე | 8 | 12 | 16 |
| ხუთ წელზე მეტი | - | - | 1 |
| **სულ გაცემული სესხები** | **28,900** | **16,019** | **9,244** |

## 10. მოგების გადასახადი

| *ათასობით ლარში* | 2017 | 2016 |
|---|---|---|
| მიმდინარე გადასახადის ხარჯი | - | 556 |
| შემოსავალი გადავადებული გადასახადიდან | - | (10,237) |
| **მოგების გადასახადის ხარჯი (შემოსავალი) მთელი წლისთვის** | **-** | **(9,681)** |

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა მიიღო და პრეზიდენტმა ხელი მოაწერა ცვლილებებს კორპორატიულ საგადასახადო კოდექსში. ცვლილებები ძალაში შევა 2017 წლის 1-ლი იანვრიდან. ახალი კოდექსი ეხებათ ქართულ კომპანიებსა და უცხოური კომპანიების მუდმივ წარმომადგენლობებს, გარდა რამდენიმე ფინანსური ინსტიტუტისა.

წინა საგასახადო რეჟიმისგან განსხვავებით, რომლის მიხედვითაც კომპანიებს ყოველი წლის მოგების გადასახადი უნდა გადაეხადათ, ახალი კოდექსის თანახმად, მოგების გადასახადი გადასახდელი იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც კომპანია გაანაწილებს მოგებას. ცვლილებამ მყისიერი გავლენა მოახდინა კომპანიების გადავადებულ გადასახადზე, რადგან იგი აუქმებს გარკვეული აქტივების საბალანსო ღირებულებასა და ვალდებულებებს შორის ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის და მათ საგადასახადო ბაზებს შორის დროებით განსხვავებებას. საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილებების გამო გადავადებული საგადასახადო აქტივის ბალანსი, რომელიც მიეკუთვნება წინასწარ განსაზღვრულ დროებით განსხვავებებს, მთლიანად ჩამოიწერა მოგება-ზარალის უწყისში.

## 11. მარაგები

| *ათასობით ლარში* | 2017 წლის 31 დეკემბერი | 2016 წლის 31 დეკემბერი | 2016 წლის 1 იანვარი |
|---|---|---|---|

| | | | |
|---|---|---|---|
| სათადარიგო ნაწილები და სახარჯი მასალები | 5,313 | 5,049 | 6,152 |
| ჯართი და სხვა მასალები | 126 | 126 | 221 |
| **სულ მარაგები** | **5,439** | **5,175** | **6,373** |

## 12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

| *ათასობით ლარში* | 2017 წლის 31 დეკემბერი | 2016 წლის 31 დეკემბერი | 2016 წლის 1 იანვარი |
|---|---|---|---|
| სავაჭრო მოთხოვნები | 30,102 | 38,020 | 20,648 |
| სხვა ფინანსური მოთხოვნები | 48 | 48 | 59 |
| მინუს: გაუფასურების რეზერვი | (730) | (897) | (799) |
| **სულ ფინანსური აქტივები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში** | **29,420** | **37,171** | **19,908** |
| ავანსები | 836 | 1,135 | 1,448 |
| თანამშრომლებზე გაცემული ავანსები | - | 3 | 15 |
| სხვა მოთხოვნები | 37 | 16 | 48 |
| **სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები** | **30,293** | **38,325** | **21,419** |

2017 წლის 31 დეკემბერს, ჯამური სავაჭრო მოთხოვნები დენომინირებული აშშ დოლარში იყო 1,348 ათასი ლარი (2016 წლის 31 დეკემბერს: 2,067 ათასი ლარი, 2016 წლის 1 იანვარი: 7,075 ათასი ლარი). ყველა დანარჩენი სავაჭრო და სხვა მოთხოვნები იყო დენომინირებული ლარში. არცერთ სავაჭრო მოთხოვნაზე კონტრაგენტებს არ ჰქონდათ გადასახდელი არც პროცენტი და არც ჯარიმა.

სავაჭრო და სხვა ფინანსური მოთხოვნების საკრედიტო ხარისხის ანალიზი შემდეგნაირია:

| *ათასობით ლარში* | **2017** წლის **31** დეკემბერი | **2016** წლის **31** დეკემბერი | **2016** წლის **1** იანვარი |
|---|---|---|---|
| არც ვადაგადაცილებული და არც ინდივიდუალურად გაუფასურებული | 16,406 | 23,535 | 17,246 |
| **სულ არც ვადაგადაცილებული და არც ინდივიდუალურად გაუფასურებული** | **16,406** | **23,535** | **17,246** |
| *ვადაგადაცილებული მაგრამ არაგაუფასურებული* | | | |
| - 30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილება | 6,718 | 4,382 | 1,544 |
| - 30-იდან 90 დღემდე ვადაგადაცილება | 370 | 140 | 117 |
| - 91-იდან 180 დღემდე ვადაგადაცილება | 711 | 429 | 127 |
| - 181-იდან 360 დღემდე ვადაგადაცილება | 182 | 7,429 | 192 |
| - 360 დღეზე მეტი ვადაგადაცილება | 4,991 | 1,362 | 674 |
| **სულ ვადაგადაცილებული მაგრამ ინდივიდუალურად არაგაუფასურებული** | **12,972** | **13,742** | **2,654** |
| *ინდივიდუალურად გაუფასურებულად შეფასებული* | | | |
| - 30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილება | - | - | 2 |
| - 30-იდან 90 დღემდე ვადაგადაცილება | - | - | 1 |
| - 91-იდან 180 დღემდე ვადაგადაცილება | - | - | 8 |
| - 181-იდან 360 დღემდე ვადაგადაცილება | - | 1 | 15 |
| - 360 დღეზე მეტი ვადაგადაცილება | 772 | 790 | 781 |
| **სულ ინდივიდუალურად გაუფასურებული** | **772** | **791** | **807** |
| მინუს: გაუფასურების რეზერვი | (730) | (897) | (799) |
| **სულ სავაჭრო და სხვა ფინანსური მოთხოვნები** | **29,420** | **37,171** | **19,908** |

ვადაგადაცილებული მაგრამ არაგაუფასურებული სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ნაწილობრივ შედგება დაკავშირებული მხარეებისადმი მოთხოვნებისგან. ზოგ შემთხვევაში მენეჯმენტმა შეიძლება ნება მისცეს ასეთ დებიტორებს, რომ დააგვიანონ გადახდები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი დათვლილია მომხმარებელთა გადახდების, თანხის შემდგომი მიღებისა და მომავალი ფულის სახსრების მოძრაობის ანალიზის გზით თითოეული მნიშვნელოვანი კლიენტის ჭრილში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის მოძრაობა საანგარიშო პერიოდში შემდეგნაირია:

| *ათასობით ლარში* | **2017** | **2016** |
|---|---|---|
| **გაუფასურების რეზერვი 1-ელ იანვარს** | **897** | **799** |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი | 14 | 139 |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის ამოტრიალება | (181) | (41) |
| **გაუფასურების რეზერვი 31 დეკემბერს** | **730** | **897** |

## 13. ფული და ფულის ექვივალენტები

| *ათასობით ლარში* | **2017 წლის 31** დეკემბერი | **2016 წლის 31** დეკემბერი | **2016 წლის 1** იანვარი |
|---|---|---|---|
| ფული ხელზე | 2 | 7 | 20 |
| მიმდინარე ანგარიშები ბანკებში | 1,631 | 5,733 | 1,693 |
| **სულ ფული და ფულის ეკვივალენტები** | **1,633** | **5,740** | **1,713** |

ბანკებს, რომლებშიც კომპანიას ფული ჰქონდა შენახული, ჰქონდათ შემდეგნაირი საკრედიტო რეიტინგები “Fitch”-ის შეფასებით. საქართველოში არსებული ბანკებისთვის, რომლებიც უცხოური ბანკების შვილობილებს წარმოადგენენ და არ გააჩნიათ ინდივიდუალური შეფასება, ქვემოთ მოცემული ცხრილის მიზნებისთვის აღებულია მშობელი ბანკების რეიტინგები.

| *ათასობით ლარში* | **2017 წლის 31** დეკემბერი | **2016 წლის 31** დეკემბერი | **2016 წლის 1** იანვარი |
|---|---|---|---|
| BB- | 1,624 | 5,723 | 659 |
| BB+ | 7 | 3 | 188 |
| A | - | 7 | 846 |
| **სულ ნაღდი ფული ბანკებში** | **1,631** | **5,733** | **1,693** |

ყველა ფული და ფულის ეკვივალენტი კლასიფიცირებულია როგორც მიმდინარე და არაგაუფასურებული. 2017 წლის 31 დეკემბრისთვის 401 ათასი ლარის ეკვივალენტი ჰქონდა კომპანიას აშშ დოლარში (2016 წლის 31 დეკემბერს: 5,604 ათასი ლარი, 2016 წლის 1 იანვარი: 16 ათასი ლარი), ხოლო 28 ათასი ლარის ეკვივალენტი ევროში (2016 წელს: 7 ათასი ლარის, 2016 წლის 1 იანვარი: 1 ათასი ლარი).

## 14. საწესდებო კაპიტალი

| *ათასობით ლარში* | 2017 წლის 31 დეკემბერი | 2016 წლის 31 დეკემბერი | 2016 წლის 1 იანვარი |
|---|---|---|---|
| 1-ელ იანვარს | 2,595 | 2,595 | 2,595 |
| ზრდა საწესდებო კაპიტალში | 5,125 | - | - |
| 31 დეკემბერს | **7,720** | **2,595** | **2,595** |

2017 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანიის 100%-იანი (2016 წლის 31 დეკემბრისთვის 100%, 2016 წლის 1 იანვრისთვის: 100%) წილის მფლობელი იყო შპს „ჰოლდინგი საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი".

2017 წლის 1 თებერვალს კომპანიამ „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი ჰოლდინგი" კომპანიის „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია" საწესდებო კაპიტალში გააკეთა არაფულადი შენატანი 3,539 ათასი ლარის ოდენობით.

2017 წლის 25 და 26 დეკემბერს კომპანიამ „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი ჰოლდინგი" კომპანიის „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია" საწესდებო კაპიტალში გააკეთა ფულადი შენატანი, შესაბამისად, 600 ათასი და 986 ათასი ლარის ოდენობით.

## 15. აღებული სესხები

| *ათასობით ლარში* | საკონტრაქტო წლიური საპროცენტო განაკვეთი | 2017 წლის 31 დეკემბერი | 2016 წლის 31 დეკემბერი | 2016 წლის 1 იანვარი |
|---|---|---|---|---|
| **გრძელვადიანი** | | | | |
| **სესხები არადაკავშირებული პირებისგან** | | | | |
| სს თიბისი ბანკი | 8.55% - 9.64% | 48,033 | 35,417 | 35,783 |
| სს საქართველოს ბანკი | 10.57% - 10.66% | 4,222 | 5,776 | 6,436 |
| სს ვითიბი ბანკი საქართველო | 7.00% | 5,444 | 5,559 | - |
| სს ბანკი რესპუბლიკა | 9.13% | - | 13,395 | 14,523 |
| **სესხები დაკავშირებული პირებისგან** | | | | |
| ფიზიკური პირები | 15.00% - 15.44% | - | 6,708 | 6,319 |
| **სულ გრძელვადიანი აღებული სესხები** | | **57,699** | **66,855** | **63,061** |
| **მიმდინარე** | | | | |
| **სესხები არადაკავშირებული პირებისგან** | | | | |
| სს. საქართველოს ბანკი | 6.00% - 10.66% | 14,445 | 9,766 | 1,154 |
| სს. თიბისი ბანკი | 7.50% - 9.64% | 14,324 | 4,389 | 8,867 |
| სს. ვითიბი ბანკი საქართველო | 7.00% | 13 | 11 | - |
| სს. ბანკი რესპუბლიკა | 6.30% - 9.13% | - | 17,765 | 15,813 |
| **სესხები დაკავშირებული პირებისგან** | | | | |
| ფიზიკური პირები | 15.00% - 15.50% | 8,536 | 85 | 81 |
| **სულ მიმდინარე აღებული სესხები** | | **37,318** | **32,016** | **25,915** |
| **სულ აღებული სესხები** | | **95,017** | **98,871** | **88,976** |

ყველა სესხის საპროცენტო განაკვეთი ფიქსირებულია გარდა სს „თიბისი ბანკისგან“ და სს „საქართველოს ბანკისგან“ აღებული სესხებისა, რომელიც არის 6 თვიანი LIBOR + 7.81% და 9%, შესაბამისად. 2017 წლის 31 დეკემბერს სესხების შეფასებული სამართლიანი ღირებულება დაახლოებით იყო 95,017 ათასი ლარი (2016 წლის 31 დეკემბერს: 98,871 ათასი ლარი, 2016 წლის 1 იანვარი: 88,976 ათასი ლარი).

კომპანიის სესხები ვალუტების მიხედვით გადანაწილებულია შემდეგნაირად:

| *ათასობით ლარში* | **2017 წლის 31** დეკემბერი | **2016 წლის 31** დეკემბერი | **2016 წლის 1** იანვარი |
|---|---|---|---|
| აშშ დოლარი | 88,305 | 93,461 | 82,626 |
| ევრო | 5,193 | 3,891 | 4,831 |
| ლარი | 1,519 | 1,519 | 1,519 |
| **სულ აღებული სესხები** | **95,017** | **98,871** | **88,976** |

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებების ფულადი და არაფულადი ცვლილებები. ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილია ვალდებულებები, რომელთა ფულადი სახსრები, კომპანიის ფულადი სახსრების მოძრაობის ცალკეულ ანგარიშგებაში უკვე იქნა ან მომავალში იქნება კლასიფიცირებული როგორც ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან.

| | **1** იანვარი **2017** | ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან **(i)** | პროცენტის ცვლილება **(ii)** | საკურსო სხვაობის ცვლილებით მიღებული მოგება | **31** დეკემბერი **2017** |
|---|---|---|---|---|---|
| აღებული სესხები | 98,871 | (3,339) | 337 | (852) | 95,017 |

i) დაკავშირებული მხარეებიდან აღებული სესხების ფულადი სახსრები წარმოადგენს აღებული სესხებით მიღებულ წმინდა შემოსავალს და აღებული სესხების დაფარვას ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში.
ii) პროცენტის ცვლილება მოიცავს პროცენტის დარიცხვას და გადახდას.

## 16. სავაჭრო და სხვა გადასახდელები

| *ათასობით ლარში* | **2017 წლის 31** დეკემბერი | **2016 წლის 31** დეკემბერი | **2016 წლის 1** იანვარი |
|---|---|---|---|
| სავაჭრო გადასახდელები | 20,758 | 23,843 | 12,585 |
| გადასახდელი დივიდენდები | 103 | 510 | 20 |
| გადასახდელი ხელფასები | 15 | 16 | 8 |
| სხვა გადასახდელები | - | - | 193 |
| **სულ ფინანსური ვალდებულებები სავაჭრო და სხვა გადასახდელებში** | **20,876** | **24,369** | **12,806** |
| მომხმარებლებისგან მიღებული ავანსები | 57 | 54 | 39 |
| **სულ სავაჭრო და სხვა გადასახდელები** | **20,933** | **24,423** | **12,845** |

2017 წლის 31 დეკემბრისთვის, სავაჭრო და სხვა გადასახდელები დენომინირებული აშშ დოლარში იყო 93 ათასი ლარის (2016 წლ\ის 31 დეკემბრისთვის: 123 ათასი ლარის, 2016 წლის 1 იანვრისთვის: 7,233 ათასი ლარის). ყველა სხვა სავაჭრო და სხვა გადასახდელები დენომინირებული იყო ლარში.

## 17. შემოსავალი

| *ათასობით ლარში* | **2017** | **2016** |
|---|---|---|
| *გაზის გაყიდვა* | | |
| გაზის გაყიდვა - საბითუმო - ადგილობრივი კლიენტები | 56,436 | 49,274 |
| გაზის გაყიდვა - საცალო | - | 4 |
| | **56,436** | **49,278** |
| ელექტროენერგიის გაყიდვა | | |
| ელექტროენერგიის გაყიდვა - ადგილობრივი კლიენტები | 45,576 | 33,754 |
| თბილსრესის გარანტირებული სიმძლავრე | 10,756 | 14,209 |
| ელექტროენერგიის გაყიდვა - ელექტროენერგიის ექსპორტი (საკუთარი გენერაცია) | 4,578 | 6,157 |
| ელექტროენერგიის გაყიდვა - ელექტროენერგისი ექსპორტი (ვაჭრობა) | 596 | 8,504 |
| ელექტროენერგიის გაყიდვა - შესყიდული საზღვარგარეთ (ვაჭრობა) | - | 3,966 |
| | **61,506** | **66,590** |
| *სხვა შემოსავალი* | 85 | 110 |
| მომსახურების გაწევა | **85** | **110** |
| **სულ შემოსავალი** | **118,027** | **115,978** |

კომპანია იღებს თბილსრესის თბოელექტროსადგურის სრული მუშაობის მზადყოფნისთვის გარანტირებული სიმძლავრის საფასურს სახელმწიფოს მფლობელობაში მყოფ ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის მოთხოვნის საფუძველზე. ელექტროენერგიის საექსპორტო გაყიდვები მოიცავს სომხეთის თბოელექტროსადგურის ოპერატორთან ბარტერული ხელშეკრულების მიხედვით მიღებულ გაყიდვებს. ბარტერული შეთანხმების საფუძველზე კომპანია იღებს ბუნებრივ აირს ელექტროენერგიის სანაცვლოდ.

## 18. გაყიდვების თვითღირებულება

| *ათასობით ლარში* | 2017 | 2016 |
|---|---|---|
| *გაზის თვითღირებულება* | | |
| გასაყიდი გაზის თვითღირებულება | 47,939 | 41,133 |
| | **47,939** | **41,133** |
| *ელექტროენერგიის თვითღირებულება* | | |
| თბოსადგურისთვის ნაყიდი გაზის ღირებულება (თბილსრესი) | 27,484 | 18,491 |
| ქვეყნის გარეთ გასაყიდი ელექტროენერგიის თვითღირებულება | - | 3,729 |
| ექსპორტზე გასაყიდი ელექტროენერგიის თვითღირებულება | 104 | 2,117 |
| ქვეყნის შიგნით გასაყიდი ელექტროენერგიის თვითღირებულება | - | - |
| | **27,588** | **24,337** |
| *ზედნადები ხარჯები* | | |
| თანამშრომელთა ხელფასები | 5,165 | 5,106 |
| ძირითადი საშუალებების ცვეთა | 3,013 | 3,036 |
| სარემონტო და ტექნიკური სამუშაოების ხარჯი | 1,641 | 987 |
| კომუნალური ხარჯები | 755 | 652 |
| დაზღვევის ხარჯი | 621 | 618 |
| წყლით მომარაგების ხარჯები | 472 | 451 |
| საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიისა და სხვა მარეგულირებლების ხარჯები | 396 | 372 |
| ტრანსპორტირებისა და ავტომანქანების ხარჯები | 269 | 239 |
| დაცვის ხარჯები | 239 | 239 |
| ძირითადი საშუალებების საოპერაციო იჯარა | 219 | 299 |
| ინფორმაციის, საკონსულტაციო და სხვა პროფესიული ხარჯები | 181 | 50 |
| მასალები და სახარჯი მასალები | 166 | 526 |
| სხვა ხარჯები | 322 | 328 |
| | **13,459** | **12,903** |
| **სულ გაყიდვების თვითღირებულება** | **88,986** | **78,373** |

## 19. გაყიდვისა და დისტრიბუციის ხარჯები

| *ათასობით ლარში* | 2017 | 2016 |
|---|---|---|
| ელექტროენერგიის გატარების ხარჯი | 1,832 | 4,591 |
| საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიისა და სხვა მარეგულირებლების ხარჯები | 117 | 124 |
| ძირითადი საშუალებების ცვეთა | 64 | 55 |
| რეკლამის ხარჯები | 10 | 279 |
| კომუნალური ხარჯები | 4 | 4 |
| თანამშრომელთა ანაზღაურება | - | 71 |
| დაზღვევის ხარჯი | - | 3 |
| სხვა ხარჯები | - | 1 |
| **სულ გაყიდვისა და დისტრიბუციის ხარჯები** | **2,027** | **5,128** |

## 20. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

| *ათასობით ლარში* | 2017 | 2016 |
|---|---|---|
| საინფორმაციო, საკონსულტაციო და სხვა პროფესიული ხარჯები | 2,467 | 2,501 |
| თანამშრომელთა ხელფასები | 2,423 | 2,490 |
| წარმომადგენლობითი ხარჯები | 1,030 | 1,062 |
| ძირითადი საშუალებების ცვეთა | 745 | 406 |
| მივლინებები | 470 | 686 |
| ტრანსპორტირებისა და ავტომანქანების ხარჯები | 232 | 231 |
| დაზღვევის ხარჯი | 123 | 99 |
| კომუნალური ხარჯები | 130 | 124 |
| ტელეკომუნიკაციის ხარჯები | 107 | 138 |
| ძირითადი საშუალებების საოპერაციო იჯარა | 54 | 50 |
| სარემონტო და ტექნიკური სამუშაოების ხარჯი | 31 | 4 |
| სხვა ხარჯები | 289 | 268 |
| **სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები** | **8,101** | **8,059** |

## 21. სხვა საოპერაციო ხარჯები, წმინდა

| *ათასობით ლარში* | 2017 | 2016 |
|---|---|---|
| მოგება/(ზარალი) ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან/ჩამოწერიდან | 547 | (29) |
| შემოსავალი იჯარიდან | 471 | 354 |
| გაუფასურებული სავაჭრო და სხვა მოთხოვნების რეზერვის აღდგენა/(შექმნა) | 167 | (98) |
| შემოსავალი მომსახურების გაწევიდან | 157 | 462 |
| შემოსავალი ჯარიმებიდან | 7 | 6 |
| გადასახადები და მოსაკრებლები | (2,126) | (1,779) |
| ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ჩამოწერა, წმინდა | (79) | 47 |
| დარიცხული ჯარიმები | (146) | (66) |
| ქველმოქმედებისა და სპონსორობის ხარჯი | (396) | (562) |
| ზარალი სათადარიგო ნაწილების, მასალებისა და ჯართის რეალიზაციიდან | (60) | (48) |
| სხვა ხარჯები, წმინდა | 97 | (229) |
| **სულ სხვა საოპერაციო ხარჯები, წმინდა** | **(1,361)** | **(1,942)** |

2017 და 2016 წლებში ჯარიმები წარმოადგენს სავაჭრო გადასახდელების დაგვიანებული გადახდით გამოწვეულ ჯარიმებს.

## 22. ფინანსური ხარჯები

| *ათასობით ლარში* | 2017 | 2016 |
|---|---|---|
| საპროცენტო ხარჯები | 8,019 | 7,681 |
| სავალუტო დანაკარგები, წმინდა | - | 6,808 |
| ბანკის საკომისიოები | 89 | 129 |
| **სულ ფინანსური ხარჯები** | **8,108** | **14,618** |

## 23. ფინანსური რისკის მართვა

**საკრედიტო რისკი.** კომპანიაზე მოქმედებს საკრედიტო რისკი, რაც რისკია იმისა, რომ კონტრაგენტი ვერ გადაუხდის კომპანიას საკუთარ ვალდებულებებს, როდესაც გადახდის დრო მოვა. ფინანსური აქტივები, რომლებიც საკრედიტო რისკის მთავარ გამომწვევ ფაქტორებს წარმოადგენენ ძირითადად შედგება გაცემული სესხებისგან, სავაჭრო მოთხოვნებისა და ფულისა და ფულის ეკვივალენტებისგან. კომპანიას შემუშავებული აქვს პროცედურები იმის უზრუნველსაყოფად, რომ მხოლოდ კარგი საკრედიტო ისტორიის მქონე კონტრაგენტებს მიაწოდოს საქონელი ან შესთავაზოს გადახდის ალტერნატიული გზები (მაგალითად წინასწარ გადახდები). დებიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულება, ფული და ფულის ეკვივალენტები და გაცემული სესხები წარმოადგენენ საკრედიტო რისკის მაქსიმალურ ოდენობას. მიუხედავად იმისა, რომ დებიტორული დავალიანებისა და გაცემული სესხების შეგროვებაზე შეიძლება გავლენა იქონიოს ეკონომიკურმა ფაქტორებმა, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანიისთვის ზიანის მნიშვნელოვანი რისკი არ არსებობს, გარდა იმისა, რაც აღრიცხულია როგორც ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვი.

კომპანიას აქვს საკრედიტო რისკის მაღალი კონცენტრაცია, რადგან კლიენტთა პორტფელი შედგება რამდენიმე მსხვილი ბუნებრივი აირისა და ელექტროენერგიის შემსყიდველისგან. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს, რომ საანგარიშო თარიღების მიხედვით 16 ძირითადი კლიენტის სავაჭრო დებიტორული ნაშთები, გაუფასურების რეზერვის გათვალისწინებით, 92%, 93% და 91%-ია მთლიანი სავაჭრო და სხვა მოთხოვნების 2017 და 2016 წლების ბოლოსთვის და 2016 წლის 1 იანვრისათვის.

| *ათასობით ლარში* | **2017 წლის 31** დეკემბერი | **2016 წლის 31** დეკემბერი | **2016 წლის 1** იანვარი |
|---|---|---|---|
| შპს „ნეოგაზი“ | 10,192 | 5,427 | 3,215 |
| სს „თელასი“ | 6,827 | - | - |
| შპს „საქნახშირი“ | 4,039 | 7,411 | 7,298 |
| სს „ენერგო-პრო“ | 1,844 | 29 | 3,338 |
| ფიზიკური პირები | 1,037 | - | - |
| შპს „გაზ-ენერჯი“ | 863 | 1,388 | 1,208 |
| ესკო | 805 | 16,684 | 986 |
| შპს „გლობალტრანსი“ | 616 | 596 | 524 |
| შპს „ჰაიდელბერგ ცემენტი ჯორჯია“ | 533 | 467 | 751 |
| შპს „ჯორჯიან მედია ჰოლდინგი“ | 456 | 456 | 456 |
| ერევნის თესი | 311 | 311 | - |
| სს „საჩხერეგაზი“ | 285 | 421 | 375 |
| შპს „აზერენერჯი“ | - | 1,356 | 879 |
| სს „გრინჰაუს კორპორეიშენი“ | - | 575 | 252 |
| ინდარი | - | 388 | - |
| შპს „აკორდი“ | - | 172 | 172 |
| სულ | **27,808** | **35,681** | **19,454** |

მნიშვნელოვანი გაცემული სესხების დეტალები იხილეთ შენიშვნაში #9. ფულადი სახსრების ზედმეტი ნაშთები განთავსებულია ფინანსურ ინსტიტუტებში, რომლებიც ითვლებიან დეპოზიტის განთავსების დროს მინიმალური დეფოლტის რისკის მქონედ.

**საბაზრო რისკი.** კომპანიაზე გავლენას ახდენს ბაზარზე არსებული რისკებიც. საბაზრო რისკები უმეტესად უკავშირდება საბაზრო ძალებით განსაზღვრულ ფასებს საქონელზე და ამით ქმნის ლიმიტებს ფასზე, რომელიც შეიძლება დააკისრო მომხმარებელს. მიუხედავად იმისა, რომ კომპანიას აქვს გავლენა ამ ფასებზე, საბითუმო მომხმარებლებისთვის, მისი გავლენა იზღუდება ისეთი კონკურენტების ქმედებებით, როგორიცაა შპს „სოკარ გაზი“ (მთავარი ეროვნული საბითუმო გაზის მომწოდებლები).

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, ბუნებრივი აირი ძირითადად შესყიდული იყო შპს „სოკარ ჯორჯია გაზისგან" ფულადი ანაზღაურებით. შპს „სოკარ ჯორჯია გაზისგან" ბუნებრივი აირის შესყიდვის ფასი შეთანხმებულია წინასწარ.

გარდა ამისა, კომპანიას აქვს ღია სავალუტო პოზიცია, რომელიც მერყეობს ზოგადი და კონკრეტული ბაზრის მოძრაობების შესაბამისად. მენეჯმენტი ადგენს ლიმიტებს რისკის იმ ოდენობაზე, რომელიც შეიძლება რომ ტოლერილებულ იქნას, რაც რეგულარულად მონიტორინგის ქვეშაა. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენებამ შეიძლება ვერ შეზღუდოს ზარალი ამ ფარგლებს მიღმა, უფრო მნიშვნელოვნად, ბაზრის არახელსაყრელად მოძრაობის შემთხვევაში.

**გეოგრაფიული რისკი.** კომპანიას აქტივები მდებარეობს საქართველოში. ქვეყანა განაგრძობს განვითარებადი ბაზრის გარკვეული მახასიათებლების ჩვენებას. ამგვარად, კომპანიაზე ზემოქმედებას ახდენს საქართველოში არსებული ბიზნეს გარემოს გაუარესების რისკები.

კომპანია ასევე, ნაწილობრივ დამოკიდებულია საქართველოსა და სხვა ქვეყნების ურთიერთობების განვითარებაზე, განსაკუთრებით კი აზერბაიჯანსა და სომხეთთან. ნებისმიერმა მოვლენამ, რომელიც გავლენას მოახდენს ბუნებრივი აირის ფასზე, შეიძლება საფრთხე შეუქმნას კომპანიას, განაგრძოს ბიზნესი ჩვეულებისამებრ. ამასთანავე, კომპანიაზე ცუდი ზეგავლენა შეიძლება იქონიოს იმ ფაქტმა, რომ თუ მთავრობა შეზღუდავს ელექტროენერგიის ექსპორტს საქართველოდან, კომპანიის მომგებიანი ბარტერული ტრანზაქციები შეიზღუდება.

**სავალუტო რისკი.** სავალუტო რისკი არის საფრთხე, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება სავალუტო კურსის ცვლილების გამო შეიცვლება. კომპანიის ფინანსური პოზიციისა და ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისებში ჩანს, რომ კომპანია შეიძლება დაუცველი იყოს სავალუტო რისკებისგან. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას ჰქონდა მნიშვნელოვანი აქტივები (რამდენიმე გაცემული სესხისა და სავაჭრო მოთხოვნების მხრივ), რომლებიც დენომინირებული იყო აშშ დოლარსა და ევროში.

2017 წლის 31 დეკემბერს, ქართული ლარი რომ დასუსტებულიყო/გაძლიერებულიყო 20%-ით აშშ დოლარის მიმართ, (და სხვა ყველა ცვლადი დარჩენილიყო იგივე) კომპანიის გაუნაწილებელი მოგება იქნებოდა 15,318 ათასი ლარით (2016 წლის 31 დეკემბრისთვის 16,130 ათასი ლარით, 2016 წლის 1 იანვრისთვის: 16,544 ათასი ლარით) დაბალი/მაღალი, ძირითადად საკურსო ზარალით/მოგებით გამოწვეული დოლარში დენომინირებულ საბანკო ბალანსების, მოთხოვნების, გაცემული სესხების, აღებული სესხებისა და სავაჭრო გადასახდელების გამო.

2017 წლის 31 დეკემბერს, ქართული ლარი რომ დასუსტებულიყო/გაძლიერებულიყო 20%-ით ევროს მიმართ, (და სხვა ყველა ცვლადი დარჩენილიყო იგივე) კომპანიის გაუნაწილებელი მოგება იქნებოდა 637 ათასი ლარით (2016 წლის 31 დეკემბრისთვის 718 ათასი ლარით, 2016 წლის 1 იანვრისთვის: 840 ლარით) ნაკლები/მეტი, ძირითადად საკურსო ზარალით/მოგებით გამოწვეული ევროში დენომინირებული სესხების გამო.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილზე ნაჩვენებია საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანიის უცხოური ვალუტის კურსის მიმართ რისკი:

| *ათასობით ლარში* | **2017 წლის 31** დეკემბერი | **2016 წლის 31** დეკემბერი | **2016 წლის 1** იანვარი |
|---|---|---|---|
| **დენომინირებული აშშ დოლარში:** | | | |
| მონეტარული ფინანსური აქტივები | 11,810 | 12,932 | 7,332 |
| მონეტარული ფინანსური ვალდებულებები | (88,398) | (93,582) | (90,052) |
| **დენომინირებული ევროში:** | | | |
| მონეტარული ფინანსური აქტივები | 2,008 | 300 | 632 |
| მონეტარული ფინანსური ვალდებულებები | (5,193) | (3,890) | (4,831) |
| **წმინდა პოზიცია აშშ დოლარში** | **(76,588)** | **(80,650)** | **(82,720)** |
| **წმინდა პოზიცია ევროში** | **(3,185)** | **(3,590)** | **(4,199)** |

**კაპიტალის რისკის მართვა.** კომპანია კაპიტალს მართავს იმის უზრუნველსაყოფად, რომ კომპანიაში შემავალმა კომპანიებმა შეძლონ ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსით საქმიანობის გაგრძელება, ხოლო აქციონერებმა, სესხისა და საკუთარი კაპიტალის ბალანსის ოპტიმიზების გზით, მაქსიმალურად გაზარდონ თავიანთი უკუგება.

როგორც სხვები ამავე ინდუსტრიაში, კომპანია კაპიტალის მონიტორინგს ახორციელებს „Gearing Ratio"-ს საფუძველზე. ეს თანაფარდობა გამოითვლება როგორც წმინდა ვალი შეფარდებული მთლიან კაპიტალთან. წმინდა ვალი გამოითვლება მთლიან სესხებს (მათ შორის "მიმდინარე და გრძელვადიანი სესხები", როგორც ეს ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის უწყისში) მინუს ფული და ფულის ეკვივალენტები. მთლიანი კაპიტალი გამოითვლება როგორც "კაპიტალი", როგორც ეს ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის უწყისში პლუს წმინდა ვალი.

| *ათასობით ლარში* | **2017 წლის 31** დეკემბერი | **2016 წლის 31** დეკემბერი | **2016 წლის 1** იანვარი |
|---|---|---|---|
| სულ სესხები (შენიშვნა 15) | 95,017 | 98,871 | 88,976 |
| მინუს: ფული და ფულის ეკვივალენტები (შენიშვნა 13) | (1,633) | (5,740) | (1,713) |
| წმინდა ვალი | 93,384 | 93,131 | 87,263 |
| სულ კაპიტალი | 88,634 | 73,825 | 57,474 |
| სულ კაპიტალი | 182,018 | 166,956 | 144,737 |
| **წმინდა სესხის ფარდობა საკუთარ კაპიტალთან** | **105%** | **126%** | **152%** |
| **სესხის ფარდობა საკუთარ კაპიტალთან** | **51%** | **56%** | **60%** |

**ლიკვიდობის რისკი.** გონივრული ლიკვიდობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებას და დაფინანსების ხელმისაწვდომობას ერთობლივი საკრედიტო ობიექტების ადეკვატური თანხის ოდენობით.

კომპანია ახდენს ლიკვიდობის რისკის მართვას სესხებზე წვდომის შენარჩუნებით და მუდმივი პროგნოზირებისა და რეალური ფულადი ნაკადების მოძრაობის მონიტორინგის გზით. ფულადი ნაკადების მოძრაობის პროგნოზირება ხორციელდება კომპანიის საოპერაციო ერთეულებში და ჯამდება კომპანიის ფინანსების მიხედვით. ასეთი პროგნოზები ითვალისწინებენ კომპანიის

რეფინანსირების გეგმებს. კომპანიის ფინანსების განყოფილება მონიტორინგს უწევს კომპანიის ლიკვიდობის მოთხოვნებს რომ უზრუნველყოს საკმარისი ფულის ქონა საკუთარი საოპერაციო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და დაიტოვოს საკმარისი არეალი იმისათვის, რომ არ დაარღვიოს სესხების ლიმიტები.

კომპანიის ლიკვიდობის რეზერვი შედგებოდა გამოუყენებელი საკრედიტო ლიმიტებისა და ფულისა და ფულის ეკვივალენტებისგან (შენიშვნა 13). 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „სსეკ"-ს ჰქონდა გამოუყენებელი საკრედიტო ლიმიტები 193 ათასი ლარის ოდენობით (2016 წლის 31 დეკემბერს: 4,860 ათასი ლარი, 2016 წლის 1 იანვარს: 5,000 ათასი ლარი).

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ვალდებულებები გაანალიზებულია მათი დარჩენილი საკონტრაქტო ვადების მიხედვით. დაფარვის ცხრილში გაწერილი თანხები არის ხელშეკრულების არადისკონტირებული ფულადი ნაკადები, მათ შორის სესხის ვალდებულებები. ასეთი არადისკონტირებული ოდენობები განსხვავდება ფინანსურ უწყისებში ნაჩვენები ოდენობებისგან, რადგან იქ მოცემული ოდენობები დისკონტირებულია.

როდესაც გადასახდელი თანხა არ არის ფიქსირებული, თანხა წარმოდგენილია საანგარიშგებო თარიღში არსებული პირობების მითითებით. უცხოური ვალუტის გადახდები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღში არსებული გაცვლითი კურსებით.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ვადიანობის ანალიზი შემდეგნაირია:

| *ათასობით ლარში* | 1 წელზე ნაკლები | 1-იდან 2 წლამდე | 2-იდან 5 წლამდე | 5 წელზე მეტი | სულ |
|---|---|---|---|---|---|
| სავაჭრო და სხვა გადასახდელები | (20,876) | - | - | - | **(20,876)** |
| აღებული სესხები | (42,107) | (19,583) | (35,584) | (15,026) | **(112,300)** |
| **სულ ფინანსური გადასახდელები** | **(62,983)** | **(19,583)** | **(35,584)** | **(15,026)** | **(133,176)** |

შესადარისი ვადიანობის ანალიზი 2016 წლის 31 დეკემბრისთვის შემდეგნაირია:

| *ათასობით ლარში* | 1 წელზე ნაკლები | 1-იდან 2 წლამდე | 2-იდან 5 წლამდე | 5 წელზე მეტი | სულ |
|---|---|---|---|---|---|
| სავაჭრო და სხვა გადასახდელები | (24,369) | - | - | - | **(24,369)** |
| აღებული სესხები | (37,417) | (25,098) | (37,495) | (19,649) | **(119,659)** |
| **სულ ფინანსური გადასახდელები** | **(61,786)** | **(25,098)** | **(37,495)** | **(19,649)** | **(144,028)** |

საკონტრაქტო გადახდების ვადიანობის ანალიზი 2016 წლის 1 იანვრისათვის ასეთია:

| *ათასობით ლარში* | 1 წელზე ნაკლები | 1-იდან 2 წლამდე | 2-იდან 5 წლამდე | 5 წელზე მეტი | სულ |
|---|---|---|---|---|---|
| სავაჭრო და სხვა გადასახდელები | (12,806) | - | - | - | **(12,806)** |
| აღებული სესხები | (31,092) | (18,416) | (34,906) | (28,628) | **(113,042)** |
| **სულ ფინანსური გადასახდელები** | **(43,898)** | **(18,416)** | **(34,906)** | **(28,628)** | **(125,848)** |

მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ კომპანიის ლიკვიდობის გაზრდა მოხდება კომერციული ბანკების მიერ ახალი საკრედიტო ხაზების მოპოვებით ან არსებული სესხების საპროცენტო განაკვეთების

შემცირებით, ხარჯების მართვის გაუმჯობესებით, აქტივობის გაზრდით და აქტიურად ახალი კონტრაქტების მოძიებით.

**საპროცენტო განაკვეთის რისკი.** საპროცენტო განაკვეთის რისკი არის კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ცვლილება საპროცენტო განაკვეთების უარყოფითი მოძრაობის მიმართ, რაც გამოიხატება მოზიდული სახსრების ან/და ფულადი სახსრებიდან მიღებული შემოსავლების შემცირებით. კომპანიას არ გააჩნია ფორმალური პოლიტიკა, თუ რა პროპორციით უნდა იყოს ფიქსირებული და ცვლადი სესხები კომპანიაში. თუმცა, ყველა სესხის საპროცენტო განაკვეთი ფიქსირებულია გარდა სს „თიბისი ბანკისგან“ (ყოფილი ბანკი რესპუბლიკის სესხი) და სს „საქართველოს ბანკისგან“ აღებული სესხებისა, რომელთა საპროცენტრო განაკვეთი არის 6 თვიან LIBOR + 7,81% და 9%, შესაბამისად.

ამ ცვლილებების შედეგად შეიძლება გაიზარდოს საპროცენტო მარჟები, მაგრამ შეიძლება შემცირდეს ან წავიდეს ზარალში იმ შემთხვევაში, როდესაც მოულოდნელი მოძრაობები წარმოიქმნება ბაზარზე. კომპანია არ აკეთებს მისი საპროცენტო განაკვეთის რისკის ჰეჯირებას.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში შეჯამებულია საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები პროცენტიან ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებზე საანგარიშო თარიღებისთვის, იმ რეპორტებზე დაყრდნობით, რომელიც მთავარი მენეჯერების მიერ არის განხილული:

| | 2017 წლის 31 დეკემბერი | | | 2016 წლის 31 დეკემბერი | | | 2016 წლის 1 იანვარი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| საშუალო შეწონილი წლიური % | ლარი | აშშ დოლარი | ევრო | ლარი | აშშ დოლარი | ევრო | ლარი | აშშ დოლარი | ევრო |
| **გაცემული სესხები** | | | | | | | | | |
| დაკავშირებული მხარეები | 14.56% | 9.25% | 15.41 % | 15.71 % | 9.64% | 15.00% | 15.95% | 12.24% | 15.00% |
| არადაკავშირებული მხარეები | 15.14% | 10.80% | - | 15.67 % | 10.80% | - | 16.00% | 15.00% | - |
| **აღებული სესხები** | | | | | | | | | |
| დაკავშირებული მხარეები | 15.00% | 15.00% | 15.24 % | 15.00 % | 15.00% | 15.14% | 15.00% | 15.00% | 15.14% |
| არადაკავშირებული მხარეები | - | 8,29% | - | - | 8.13% | 8.00% | - | 8.68% | 8.00% |

## 24. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

„ფასს“-ი განსაზღვრავს სამართლიან ღირებულებას, როგორც იმ ფასს, რასაც მიიღებდა აქტივის მფლობელი აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების მფლობელი ვალდებულების დასაფარად, ჩვეულებრივი ტრანზაქციისას საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების თარიღის დროს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს ფასი პირდაპირ დაკვირვებადი ან შეფასებული სხვა შეფასების მეთოდით. მიახლოებითი სამართლიანი ღირებულებები დადგინდა კომპანიის მიერ ბაზარზე არსებული ინფორმაციისა და შეფასების მეთოდოლოგიების მიხედვით. თუმცა, მაინც სუბიექტურობა არის საჭირო, რომ გაშიფრო საბაზრო ინფორმაცია და დათვალო მიახლოებითი სამართლიანი ღირებლება. საქართველო ჯერ კიდევ ამჟღავნებს განვითარებადი ბაზრის მახასიათებლებს და ეკონომიკური მდგომარეობა ჯერ კიდევ ზღუდავს ფინანსური ბაზრების საქმიანობის მოცულობას. ბაზრების კვოტირებული ფასები შეიძლება იყოს მოძველებული და ამიტომ შესაძლოა, სწორად ვერ ასახავდეს ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიან ღირებულებას. მენეჯმენტმა გამოიყენა ყველა არსებული საბაზრო ინფორმაცია ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების დასადგენად.

*ამორტიზირებული ღირებულებით აღიარებული ფინანსური აქტივები.* სავარაუდო სამართლიანი ღირებულება ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთების მქონე ფინანსური ინსტრუმენტებისთვის დამოკიდებულია დადისკონტირებულ სავარაუდო ფულის ნაკადის შემოდინებაზე. დისკონტირებისას გამოყენებული საპროცენტო განაკვეთი დამოკიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკზე. სავაჭრო მოთხოვნებისა და სხვა ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება ახლოსაა მათ სამართლიან ღირებულებასთან მათი მოკლე ვადიანობის გამო.

*ამორტიზირებული ღირებულებით აღიარებული ფინანსური ვალდებულებები.*
სავარაუდო სამართლიანი ღირებულება ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთების მქონე ფინანსური ვალდებულებებისთვის დამოკიდებულია დადისკონტირებულ სავარაუდო ფულის ნაკადის გადინებაზე. დისკონტირებისას გამოყენებული საპროცენტო განაკვეთი არის მსგავსი საკრედიტო რისკისა და ვადიანობის მქონე ვალდებულების მიხედვით აღებული. კომპანიის მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ვალდებულებების საბალანსო ღირებულება ახლოსაა მათ სამართლიან ღირებულებასთან.

სამართლიანი ღირებულება ფულისა და ფულის ეკვივალენტებისთვის განისაზღვრა 1-ლი დონის შეფასების მიხედვით, ხოლო სხვა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისთვის - მე-3 დონის შეფასების მიხედვით.

## 25. პირობითი და შესაძლო ვალდებულებები

*სამართლებრივი დავები.* დროდადრო და ბიზნესის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში შეიძლება, კომპანიის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წამოყენებული. საკუთარი შეფასების საფუძველზე, აგრეთვე შიდა და გარე პროფესიული კონსულტაციების საფუძველზე, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული რაიმე სასამართლო დავის შედეგად. აქედან გამომდინარე, ამ ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ გაკეთებულა არანაირი რეზერვი შესაძლო ჯარიმებთან დაკავშირებით.

*გადასახადები.* საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და დამატებითი რეზერვების შექმნა შუალედურ შემოკლებულ ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს კომპანიის შემოწმება შეუძლიათ ბოლო სამი წლის განმავლობაში.

**თბილსრესის აქტივების აუქციონის მოგებიდან აღებული ვალდებულებები**

2010 წლის 23 თებერვალს სს "თბილსრესის" აქტივების აუქციონში გამარჯვების შედეგად, სხვა ვალდებულებებთან ერთად, კომპანიამ ვალდებულება აიღო, რომ უზრუნველეყო შემდეგი საკითხები:

- ელექტროენერგიის გამომუშავების ერთეულების სათანადო ფუნქციონირება ლიცენზირების ორგანოების მოთხოვნის შესაბამისად;
- არსებული სიმძლავრის (272 მეგავატი) მოვლა და შენარჩუნება მინიმუმ 2025 წლამდე;
- 100-150 მეგავატის სიმძლავრის ქვანახშირის ქარხნის მშენებლობა გარდაბანში და მისი ექსპლუატაციაში მიღება არა უგვიანეს 2013 წლის 31 დეკემბრისა;

- სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ნავთობის შენახვა რეზერვუარებში ანაზღაურების გარეშე.

2015 წლის 23 ოქტომბერს კომპანიამ ხელი მოაწერა შეთანხმებას საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან და ენერგეტიკის სამინისტროსთან ერთად, 2010 წლის 23 თებერვალს სს "თბილსრესის" აქტივების აუქციონიდან გამომდინარე ვალდებულებების შესწორებისა და განმარტების მიზნით. შესაბამისად კომპანია ვალდებულია:

- 2020 წლის 30 ივლისამდე ტყიბულის მუნიციპალიტეტში 100-150 მგვტ სიმძლავრის თბოელექტროსადგური მიიღოს ექსპლუატაციაში;
- დაიწყოს ქვანახშირის თბოელექტროსადგურის მშენებლობა 2016 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

2016 წლის 4 ივლისს კომპანიამ ხელი მოაწერა ცვლილებას თბოელქტროსადგურის ტყიბულის მუნიციპალიტეტში აშენებასთან დაკავშირებით, ენერგეტიკის სამინისტროსა და „ესკო"-სთან. ცვლილების მიხედვით, კომპანიამ აიღო ვალდებულება, რომ ააშენებს და ოპერირებას გაუწევს ქვანახშირის თბოელექტროსადგურს დადგმული სიმძლავრით 150-300 მგვტ (+/-10%) გარდაბანის მუნიციპალიტეტში 2020 წლის 31 ივლისამდე.

ამჟამად კომპანიას ყველა ვალდებულება შესრულებული აქვს და გარდაბნის მუნიციპალიტეტში 300 მეგავატიანი სიმძლავრის ახალი თბოელექტროსადგურის მშენებლობის პროცესი დაიწყო.

*გარემოსდაცვითი საკითხები.* – საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი, ხასიათდება ისეთი რისკებით, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებულ ბაზარზე. წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, სწრაფად ვითარდება. საგადასახადო და მარეგულირებელ კანონმდებლობას ახასიათებს სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია. საქართველოს ეკონომიკის მომავალი მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფისკალური და მონეტარული ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, მარეგულირებელი და პოლიტიკური მოვლენების პარალელურად.

ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოში რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, რომლებიც დიდწილად ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებასთანაა დაკავშირებული. 2016 და 2017 წლებში განხორციელებული ეს ცვლილებები გარკვეულწილად ნიადაგის შემამზადებელი ხასიათისაა და მომავალში მეტი ცვლილებაა მოსალოდნელი ევროკავშირთან დაახლოების სამოქმედო გეგმის განხორციელების პარალელურად.

## 26. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

***მაკონტროლებელი ურთიერთობები.*** კომპანიის უშუალო მშობელია შპს საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი ჰოლდინგი, რომელიც დაარსდა ქართული კანონმდებლობის შესაბამისად და მისი იურიდიული მისამართია გაზაფხულის ქუჩა 18, თბილისი, 0177, საქართველო. შპს საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი ჰოლდინგი კონტროლდება „ჩემექსიმ ინთერნეიშენალ ლიმითედ, ბ.ვ."-ის მიერ, რომელიც დაარსებულია მარშალის კუნძულების კანონმდებლობის შესაბამისად და იურიდიული მისამართია, თრასტ ქომფანი კომპლექს, აჯელტაკეს ქუჩა, აჯელტაკეს კუნძული, მაჯურო, მარშალის კუნძულები MH96960. ჩემექსიმ ინთერნეიშენალ ლიმითედი კონტროლდება ბატონი დავით ბეჟუაშვილის მიერ, რომელიც კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი პირია.

ყველაზე მნიშვნელოვანი ტრანზაქციები დაკავშირებულია სესხების გაცემასა და იმ აქტივობებთან, რომლებიც კომპანიის მთავარი საქმიანობას წარმოადგენს, მაგალითად ბუნებრივი აირის მიწოდება.

***ტრანზაქციები და ბალანსები დაკავშირებულ მხარეებთან.*** ზოგადად,მხარეები დაკავშირებული არიან იმ შემთხვევაში, თუ ისინი იმყოფებიან ერთი და იმავე პირის კონტროლის ქვეშ, ან თუ ერთ-ერთ მათგანს აქვს შესაძლებლობა, რომ გააკონტროლოს მეორე ან აქვს მასზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ ფინანსური და საოპერაციო გადაწყვეტილების მიღებისას. ყურადღება უნდა მიექცეს ურთიერთდამოკიდებულების შინაარსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას.

2017 წლის 31 დეკემბერს, ბალანსები დაკავშირებულ მხარეებთან შემდეგნაირი იყო:

| *ათასობით ლარში* | უშუალო ან შუამავალი მშობელი კომპანიები | კომპანიები საერთო კონტროლის ქვეშ | ასოცირებული პირები | სხვა დაკავშირებული მხარეები* | შვილობილი კომპანიები |
|---|---|---|---|---|---|
| სავაჭრო მოთხოვნები, ბრუტო | 56 | 5,484 | 358 | - | 10,327 |
| გაუფასურების რეზერვი | - | 35 | - | - | - |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე გაცემული სესხები, ბრუტო (საკონტრაქტო საპროცენტო განაკვეთი: 8.300%-20.0% წლიურად) | - | 23,372 | - | 4,586 | 606 |
| აღებული სესხები | - | - | - | 8,536 | - |
| სავაჭრო და სხვა გადასახდელები | 103 | 460 | - | - | 182 |

შემოსავლისა და ხარჯების მუხლები დაკავშირებულ მხარეებთან 2017 წლის განმავლობაში შემდეგნაირია:

| *ათასობით ლარში* | უშუალო ან შუამავალი მშობელი კომპანიები | კომპანიები საერთო კონტროლის ქვეშ | ასოცირებული პირები | სხვა დაკავშირებული მხარეები* | შვილობილი კომპანიები |
|---|---|---|---|---|---|
| გაზის გაყიდვა - საბითუმო - ადგილობრივი კლიენტები | - | 1,212 | 885 | - | 36,356 |
| ელექტროენერგიის გაყიდვა - ადგილობრივი კლიენტები | - | 186 | - | - | - |
| საიჯარო შემოსავალი | 8 | 121 | - | - | 70 |
| საპროცენტო შემოსავალი | - | 1,742 | - | 161 | - |
| საპროცენტო ხარჯი | - | - | - | 1,096 | - |
| მომსახურების გაწევა | - | - | - | - | 85 |
| სხვა შემოსავალი და ხარჯები | - | 39 | - | - | - |
| წმინდა მოგება ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან/ჩამოწერიდან | - | 1 | - | - | - |
| წმინდა მოგება სათადარიგო ნაწილების, მასალებისა და ჯართის გაყიდვიდან | - | 92 | - | - | - |
| შემოსავალი მომსახურების გაწევიდან | - | 81 | - | - | 51 |
| ძირითადი საშუალებების საოპერაციო იჯარა | - | 52 | - | - | 9 |
| საინფორმაციო, | - | 1,805 | - | - | - |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| საკონსულტაციო და სხვა პროფესიული ხარჯები | | | | | |
| წყლით მომარაგების ხარჯები | - | 126 | - | - | - |
| სარემონტო და ტექნიკური სამუშაოების ხარჯი | - | 463 | - | - | - |
| დაზღვევა | - | - | - | 15 | - |
| ელექტროენერგიის გატარების საკომისიო | - | - | - | - | 305 |
| სხვა | - | 10 | - | - | - |

2016 წლის 31 დეკემბერს, ბალანსები დაკავშირებულ მხარეებთან შემდეგნაირი იყო:

| *ათასობით ლარში* | უშუალო ან შუამავალი მშობელი კომპანიები | კომპანიები საერთო კონტროლის ქვეშ | ასოცირებული პირები | სხვა დაკავშირებული მხარეები* | შვილობილი კომპანიები |
|---|---|---|---|---|---|
| სავაჭრო მოთხოვნები, ბრუტო | 46 | 8,868 | 300 | - | 5,797 |
| გაუფასურების რეზერვი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე | - | 35 | - | - | - |
| გაცემული სესხები, ბრუტო (საკონტრაქტო საპროცენტო განაკვეთი: 9.6%-20.0% წლიურად) | - | 10,964 | - | 4,659 | 28 |
| აღებული სესხები | - | - | - | 6,794 | - |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები | 510 | 719 | - | - | 204 |

შემოსავლისა და ხარჯების მუხლები დაკავშირებულ მხარეებთან 2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის შემდეგნაირია:

| *ათასობით ლარში* | უშუალო ან შუამავალი მშობელი კომპანიები | კომპანიები საერთო კონტროლის ქვეშ | ასოცირებული პირები | სხვა დაკავშირებული მხარეები* | შვილობილი კომპანიები |
|---|---|---|---|---|---|
| გაზის გაყიდვა - საბითუმო - ადგილობრივი კლიენტები | - | 714 | 1,418 | - | 30,711 |
| საიჯარო შემოსავალი | 8 | 142 | - | - | 115 |
| საპროცენტო შემოსავალი | - | 943 | - | 244 | 3 |
| საპროცენტო ხარჯი | - | - | - | 952 | - |
| სხვა შემოსავალი | - | 22 | - | - | - |
| წმინდა მოგება მომსახურების გაწევისგან | - | 58 | - | - | 62 |
| წმინდა მოგება ძირითადი საშუალებების გაყიდვისგან | - | 90 | - | - | - |
| წმინდა მოგება ჯართისა და სხვა მარაგების გაყიდვიდან | - | 151 | - | - | 19 |
| მომსახურების გაწევა | - | - | - | - | 109 |
| ელექტროენერგიის გატარების საკომისიო | - | - | - | - | 305 |
| ძირითადი საშუალებების საოპერაციო იჯარა | - | 134 | - | - | 9 |
| საკონსულტაციო და სხვა პროფესიული ხარჯები | - | 1,805 | - | - | - |
| წყლით მომარაგების ხარჯები | - | 124 | - | - | - |
| სარემონტო და ტექნიკური სამუშაოების ხარჯი | - | 195 | - | - | - |
| სხვა | - | 1 | - | - | - |

2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ბალანსები დაკავშირებულ მხარეებთან იყო:

| *ათასობით ლარში* | უშუალო ან შუამავალი მშობელი კომპანიები | კომპანიები საერთო კონტროლის ქვეშ | ასოცირებული პირები | სხვა დაკავშირებული მხარეები* | შვილობილი კომპანიები |
|---|---|---|---|---|---|
| სავაჭრო მოთხოვნები, ბრუტო | 37 | 8,629 | 250 | | 3,350 |
| გაუფასურების რეზერვი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე | - | 35 | - | - | - |
| გაცემული სესხები, ბრუტო (საკონტრაქტო საპროცენტო განაკვეთი: 10.6%-20.0% წლიურად) | - | 9,095 | - | 39 | 25 |
| აღებული სესხები | - | - | - | 6,400 | - |
| სავაჭრო და სხვა გადასახდელები | 20 | 405 | - | - | 184 |

* სხვა დაკავშირებული მხარეები მოიცავს საბოლოო მაკონტროლებელი პირის ოჯახის წევრებს.

***მთავარი მენეჯმენტის კომპენსაცია.*** მთავარი მენეჯმენტი მოიცავს დირექტორთა საბჭოს წევრებს. მათთვის გადახდილი კომპენსაცია შედგება საკონტრაქტო ხელფასისგან, ფინანსური მიზნების შესრულებასთან დაკავშირებული ბონუსისგან და სხვა კომპენსაციებისგან, მივლინების ხარჯების ანაზღაურების სახით. მთავარი მენეჯმენტის მთლიანი კომპენსაცია 2017 წელს იყო 594 ათასი ლარი (2016 წელს: 561 ათასი ლარი) და მთლიანად შედგებოდა მოკლევადიანი სარგებლისგან.

## 27. მოვლენები საანგარიშგებო თარიღის შემდგომ

საანგარიშგებო თარიღის შემდგომ არ მომხდარა არანაირი მნიშვნელოვანი მოვლენა.

საქართველო
სანოტარო აქტი

ორიათასთვრამეტი წლის ცხრამეტ ივლისს მე, ნოტარიუსი, ნინო მასხულია, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, შალვა დადიანის ქუჩა N12, ვამოწმებ მთარგმნელის, ქალბატონი *ინგა რეხვიაშვილის* ხელმოწერის სინამდვილეს, ორმოცდათორმეტ გვერდზე, ორ ცალად, რომელმაც ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე თარგმნა *შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის" ცალკეული ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, ხელმოწერილი კორპორაციის საოპერაციო დირექტორის, ბატონი მალხაზ იასეშვილის, მთავარი ბუღალტრის, ბატონი ლაშა გვაზავას მიერ 2018 წლის 8 ივნისს და შპს „დელოიტი და ტუში"-ს სახელით, ბატონი ჯონ რობინსონის მიერ 2018 წლის 8 ივნისს.*

ქალბატონი ინგა რეხვიაშვილი, დაბადებული 1986 წლის 10 თებერვალს რუსეთში, პირადი N10001017562, რეგისტრირებული ქ.ბოლნისში, ფარნავაზ მეფის ქუჩა №64, პროფესიით არის ინგლისური ენის სპეციალისტი, რაც დასტურდება ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 2008 წლის 8 დეკემბერს გაცემული ბაკალავრის დიპლომით ISU №000258, სარეგისტრაციო №000258.

მთარგმნელი გაფრთხილებულია იმ პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც მოჰყვება არაზუსტ თარგმანს.

გადახდილია 247,44 ლარი – აქედან: საზღაური 208,00 ლარი ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმებისათვის, „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N507 დადგენილების 31.3. მუხლის საფუძველზე, 2.00 ლარი რეგისტრაციის საზღაური, ამავე დადგენილების 39-ე მუხლის საფუძველზე, ხოლო 37,44 ლარი დღგ, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა.

ნოტარიუსი: ნინო მასხულია

| | |
|---|---|
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი | N180857376 |
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი | 19.07.2018 წ |
| სანოტარო მოქმედების დასახელება | დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება |
| ნოტარიუსი | ნინო მასხულია |
| სანოტარო ბიუროს მისამართი | ქ.თბილისი, შალვა დადიანის ქუჩა N12. |
| სანოტარო ბიუროს ტელეფონი | 2997150 |
| სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი | 89845684341618 |

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18